პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 39-ე წელი № 221 (11527) | სამშაბათი, 22 სექტემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

წარმატებით გრძელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის მოგზაურობა შეერთებულ შტატებში, საბჭოთა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ამჟამად შეიქმნა პირობები საერთაშორისო ურთიერთობაში უკეთესისაკენ მკვეთრი მობრუნებისათვის, „ცივი ომის" სრული ლიკვიდაციისათვის მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ამერიკის კონგრესის ლიდერებთან და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრებთან

16 სექტემბერს ნ. ს. ხრუშჩოვი სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის სენატორ ფულბრაიტის მიწვევით ესტუმრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს. ამ შეხვედრაზე შეიკრიბა 25 სენატორი — კონგრესის ლიდერები და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრები. საუბარში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ჟუკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ა. ი. აჯუბეიმ, ლ. თ. ილიჩოვმა, პ. ა. სატიუკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ა. ა. სოლდატოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწემ ო. ა. ტროიანოვსკიმ.

ამერიკის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს სენატორმა ჯ. ფულბრაიტმა, სენატში დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სენატორმა ლ. ჯონსონმა, სენატში რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ე. დირქსენმა, სენატში დემოკრატიული პარტიის ლიდერის მოადგილემ სენატორმა მ. მენსფილდმა, სენატორებმა ტ. გრინმა, დ. სპარკმენმა, უ. მორზემ, ჯ. კენედიმ, ა. უაილიმ, ქ. ჰეიკენმა, რ. რასელმა და სხვებმა.

თავის შესავალ სიტყვაში ფულბრაიტი მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. „ჩვენ მოხარული ვართ, აქ რომ გხედავთ, — თქვა მან, — და მოხარული ვართ, რომ თქვენ საუბრები გექნებათ პრეზიდენტთან დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას ეხება. საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ძლიერი სახელმწიფოები არიან. საბჭოთა ადამიანები და ამერიკელები ნიჭიერი ადამიანები არიან. ჩვენი ქვეყნების შესაძლებლობანი შეზღუდული არ არის". ფულბრაიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეიარაღების შემცირება და მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობდა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და ყველა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. „მე მინდა დაგარწმუნოთ, — განაგრძო მან, — რომ ჩვენს ხალხს, ისევე როგორც თქვენს ხალხს, ომი არა სურს. საჭიროა გამოინახოს გზები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ თავიდან ავიცილოთ შესაძლებლობა ომის დაწყებისა რაიმე შემთხვევითობის გამო და უზრუნველვყოთ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზები".

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა ფულბრაიტს მიწვევისათვის კონგრესის ლიდერებთან და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრებთან შესახვედრად.

— მე სავსებით ვეთანხმები ყოველივე იმას, რაც თქვენ ეს არის თქვით, — განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა. — თქვენ, ბატონო სენატორებო, პასუხსაგები მდგომარეობა გიკავიათ, თქვენზე ბევრად არის დამოკიდებული ისეთი ძლიერი სახელმწიფოს პოლიტიკის წარმართვა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. მე ყოველთვის ყურადღებით ვადევნებ თვალს თქვენს გამოსვლებს და ამ გამოსვლების მიხედვით ვიცნობ ბევრ თქვენგანს. ახლა ჩვენ პირადად გავეცანით ერთმანეთს. არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ თქვენს სიტყვებში ყველაფერს როდი ვეთანხმები. როგორც რუსული ანდაზა ამბობს: პურმარილი მიირთვი, სიმართლეს კი ნუ გადაუხვევო. მაგრამ მოდით ახლა ნუ მოვყვებით იმის გახსენებას, როდის და რომელმა სენატორმა თქვა რაიმე ცუდი და რაიმე კარგი. ეს წარსულს ჩაბარდა, და მოდით ვიხელმძღვანელოთ სახელმწიფოებრივი სიბრძნით და ვიფიქროთ მომავალზე —როგორ უზრუნველვყოთ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მუდამ დიდი პატივისცემით ვეკიდებით ამერიკელი ხალხის წარმატებებს, გვახარებს ეს წარმატებები, ზოგჯერ ცოტაც გვშურს და გვინდა ჯერ გავათანაბროთ ჩვენი ეკონომიკა თქვენს ეკონომიკასთან, ხოლო შემდეგ მოვიკრიბოთ ძალები და გაგისწროთ. ვფიქრობ, ჩვენი ხალხები და მომავალი თაობები მადლობელი დაგვრჩებოდნენ, თუ ჩვენ ძალღონეს გამოლებული შეიარაღებიდან გადავიტანდით შეჯიბრებაზე ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისა და ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამისათვის ჩვენ მზად ვართ. ვფიქრობ, რომ ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას ერთი პირობით: უარი ვთქვათ წინაზრახვებზე და გაბედულად დავადგეთ ახალ გზას, მეგობრობისა და თანამშრომლობის გზას.

მე მესმის, რომ ყოველთვის ადვილი როდია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში მიმართულების შეცვლა, ძველზე, დრომოჭმულზე უარის თქმა და ახალზე, პროგრესულზე გადასვლა. მოვიყვან ცხოვრების ასეთ მაგალითს: ზოგჯერ ხნიერი ადამიანი ჩაიცვამს ახალ ფეხსაცმელს, ცოტას ატარებს, შემდეგ კი გაიხდის და ძველს ჩაიცვამს, ახალი უჭერს, ძველ ფეხსაცმელს კი იგი მიჩვეულია, იგი უფრო მოხერხებული ეჩვენება. ზოგჯერ ასე ხდება საზოგადოებაშიც. ზოგი ვინმე ზოგჯერ არ იღებს ახალს, ცდილობს ძველი შეინარჩუნოს.

ხდება ასეც — თქვენ ელით ქალიშვილს, თქვენი ცოლი კი ვაჟსა შობს, ან, პირიქით, ელით შვილიშვილს — გინდათ გოგონა იყოს, მაგრამ ჩნდება ვაჟი. რა თქმა უნდა, თქვენ იმედგაცრუებული რჩებით, მაგრამ რას იზამ, ბუნება ყოველთვის როდი მოქმედებს ადამიანთან შეთანხმებით... (**გამოცოცხლება**).

ხალხები მუდამ იბრძოდნენ და იბრძვიან პროგრესისათვის. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ამა თუ იმ ფორმით მოხდა რევოლუცია, როცა საჭირო იყო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. როცა თქვენი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდით ინგლისის წინააღმდეგ, რომლის კოლონიასაც შეერთებული შტატები წარმოადგენდნენ, ინგლისის მეფე თქვენ მისასალმებელ დეპეშებს არ გიგზავნიდათ, და თქვენ დამოუკიდებლობა შეიარაღებულ ბრძოლაში მოიპოვეთ. როცა წარმოიბდა სამხრეთის წინააღმდეგ ჩრდილოეთის სამოქალაქო ომი, ისიც პროგრესული ბრძოლა იყო, და სახელი ლინკოლნისა, რომელიც სათავეში ედგა ადამიანის თავისუფლებისათვის ამ ბრძოლას, საუკუნეებში იცოცხლებს.

ახლა იბადება ახალი საზოგადოებრივი სისტემა — სოციალისტური წყობილება. სოციალიზმმა ჯერ გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში — რუსეთში, ახლა კი მან ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში გაიმარჯვა.

თქვენ არ მოგწონთ ეს წყობილება, მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ როცა შვილიშვილი ვაჟი გინდათ, ხოლო გოგონა იბადება, ეს თქვენზე არ არის დამოკიდებული. მით უმეტეს რომელიმე ქვეყანაში ახალი წყობილების გაჩენა სხვა სახელმწიფოების ნებაზე არ არის დამოკიდებული. თუ ყველა აღიარებს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, — ხოლო ეს ნიშნავს თვითეული სახელმწიფოს ხალხის იმ უფლების აღიარებას, რომ აირჩიოს ისეთი სახელმწიფოებრივი წყობა, ისეთი წყობილება, როგორიც მას მოსწონს, — მშვიდობა მსოფლიოში უზრუნველყოფილი იქნება. ჩვენ სხვა არაფერი გვსურს.

ჩვენ ყველაფერი გვაქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის, და არ ხელვყოფთ სხვა ქვეყნების სიმდიდრეს. ამჟამად ჩვენ წარმატებით ვაშენებთ კომუნიზმს. სხვა ხალხებმაც, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ, თავიანთი გამოცდილებით დაადასტურეს მეცნიერული კომუნიზმის თეორიული პროგნოზების სისწორე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის კომუნიზმი საუკეთესო წყობილებაა. ჩვენ არ ვთხოულობთ თქვენს მოწონებას. ჩვენ ერთი რამ გვინდა: რომ ხელს არ გვიშლიდნენ.

ადამიანთა საზოგადოების სოციალური ფორმაციების ცვლილება ისეთი პროცესი არ არის, რომელიც ყველა ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს ხდება. როდის და როგორ შეიცვლება სოციალური წყობილება რომელიმე ქვეყანაში — ეს მოცემული ქვეყნის ხალხის საქმეა. აღიარეთ ეს, და მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება. არ აღიარებთ ამას, — მაშინ თავიდან ვერ ავიცილებთ ომს. თუ თქვენ ეცდებით ძალით შეცვალოთ წყობილება სხვა სახელმწიფოებში, ამ სახელმწიფოების ხალხებმა, რა თქმა უნდა, თავი უნდა დაიცვან. ასე წარმოიშობა ომი!

თუ ნებას მიბოძებთ გამოვთქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა თქვენი მისამართით, მე ვისარგებლებ ამ შესაძლებლობით. მე მინდა გულახდილად ვთქვა, რომ თქვენი კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სოციალისტურ ქვეყნებში ძირგამომთხრელი მუშაობისათვის სახსრების ასიგნების შესახებ ხელს არ უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას, მშვიდობის საქმეს. ეს უგუნური გადაწყვეტილებაა. უფრო მეტიც, მეწარმის ენით რომ ვთქვათ, ეს არც მომგებიანი საქმეა, — ამ შემთხვევაში კაპიტალი პროცენტებს არ იძლევა. (**მხიარული გამოცოცხლება**).

მე არ მინდა ჭკუა გასწავლოთ, თქვენ თვითონ აგებთ პასუხს თქვენი პოლიტიკისათვის. არ ვიცი, დასაშვებად მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი სტუმრები გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, მაგრამ ჩვენ საბჭოთა კავშირში მივესალმებით, როცა ჩვენთან ჩამოსული სტუმრები თავიანთ აზრს გამოთქვამენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ მათ არ ვეთანხმებით.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის. დასასრულ მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ გვსურს მხოლოდ მშვიდობა და მეგობრობა ამერიკის ხალხთან და მსოფლიოს ყველა ხალხთან. მოდით კეთილი საქმე გავაკეთოთ, ჩვენ და თქვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ხალხთა მისწრაფება, ხალხებს კი მხოლოდ ერთი რამ სურთ — მშვიდობა. მოგწონთ თქვენი კაპიტალისტური წყობილება, იცხოვრეთ, როგორც ცხოვრობთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ჩვენ კი სოციალისტური წყობილება მოგვწონს — მაშ ხელს ნუ შეგვიშლით ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

ოდესღაც ადამიანებს სწვავდნენ იმისათვის, რომ ისინი ამტკიცებდნენ, დედამიწა ბრუნავსო. მაგრამ ახლა ხომ არ აღმოჩნდება ისეთი გულუბრყვილო, რომელიც ამას არ დაიჯერებს! მაშ რატომ არ გინდათ დაუშვათ, რომ თქვენი ახლანდელი მსჯელობა კომუნიზმზე იქნებ მცდარია? მაგრამ ეს, ვიმეორებ, თქვენი საქმეა. მოდით ვაღიაროთ სტატუს-კვო: მსოფლიოში არსებობენ სოციალისტური ქვეყნები და კაპიტალისტური ქვეყნები, მაშ მოდით ვიცხოვროთ რეალურად არსებულ მსოფლიოში, მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე.

რამდენადაც მე პირველმა გამოვთქვი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა თქვენი მისამართით, ამით მე შევქმენი პირობები იმისათვის, რომ თქვენ ამითვე მიპასუხოთ. მე თანახმა ვარ მოვისმინო თქვენი კრიტიკული შენიშვნები და გიპასუხოთ ამ შენიშვნებზე, აგრეთვე გიპასუხოთ ყოველ თქვენს კითხვაზე. (**ტაში**).

ფულბრაიტი აცხადებს, რომ მას მოეწონა ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნები. ეს გულახდილი ლაპარაკია, თქვა მან, და ჩვენთვის სასიამოვნოა ასეთი საუბარი. შეეხო რა ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნას ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის სახსრების ასიგნების თაობაზე კონგრესის მიერ მიღებული კანონის შესახებ, ფულბრაიტი არ დაეთანხმა ამ შენიშვნას და დაიმოწმა ის, რომ „ჩვენ სიტყვები სხვადასხვანაირად გვესმისო". „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე არ არის, — თქვა ფულბრაიტმა, — ჩვენ არა გვსურს ვერეოდეთ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. პირიქით, ფილიპინებს, მაგალითად, ჩვენ შესაძლებლობა მივეცით მოეპოვებინათ თავისუფლება. მაგრამ ეს სხვათა შორის".

შემდეგ ფულბრაიტი ცდილობს წამოაყენოს ბრალდება ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ იმაში, რომ ისინი თითქოს „ცდილობენ ძალით მოახვიონ თავს სხვებს თავიანთი რეჟიმი". „როცა მე და თქვენი პრეზიდენტი ერთმანეთს ვუთანხმდებოდით შეხვედრის შესახებ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — შევთანხმდით გველაპარაკა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე. მესამე ქვეყნების მაგივრად ლაპარაკის რწმუნება არც მას მიუღია, არც მე მიმიღია. თუ თქვენ გაქვთ პრეტენზიები რომელიმე სოციალისტური ქვეყნისადმი, დაიწყეთ მასთან მოლაპარაკება, მიმართეთ უშუალოდ მის მთავრობას. ასეთ საქმეებში შუამავლები სასურველი არ არიან. აქ მე წარმოვადგენ საბჭოთა კავშირს და რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მზად ვარ ყველა კითხვაზე გაგცეთ პასუხი".

— კიდევ ერთი კითხვა, — ამბობს ფულბრაიტი. — თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სისტემა ჩვენს სისტემას სჯობს...

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი.

— მაგრამ რა მოხდება, — განაგრძობს ფულბრაიტი, — ერთბაშად რომ გამოირკვეს რომ კაპიტალისტური წყობილება სჯობს და რომ სულ უფრო მეტ ადამიანს კაპიტალიზმი ურჩევნია სოციალიზმს. შეურიგდებით თქვენ ამ ფაქტს თუ ძალას გამოიყენებთ იმისათვის, რომ თქვენი პოზიციები შეინარჩუნოთ?

— მოდით მარჩიელობას ნუ დავიწყებთ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — მაგრამ ისტორია თუ დაადასტურებდა, რომ კაპიტალისტური წყობილება მართლაც საუკეთესო შესაძლებლობებს ქმნის საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებისა და ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის, — ჩვენ კი ამის ერთი გროშის რწმენაც არა გვაქვს, — მე პირველი მივცემდი ხმას კომუნიზმის წინააღმდეგ. მე რომ მართლა დავრწმუნებულიყავი კომუნიზმზე კაპიტალიზმის უპირატესობაში, — ირონიით შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, მაშინ ვიფიქრებდი, სად წავსულიყავი — რესპუბლიკელებთან თუ დემოკრატებთან, თუმცა მათ შორის განსხვავება თითქმის არ არის. ეს ჩემთვის მძიმე არჩევანი იქნებოდა. (**სიცილი**).

— მე შემიძლია გითხრათ, რომელი პარტია სჯობს, — ამბობს მხიარული გამოცოცხლებისას ფულბრაიტი.

— რჩევას ნუ მომცემთ, — განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — მე თვითონ მინდა ავირჩიო. (**სიცილი**). მე ვიცი თქვენ რომელ პარტიას წარმოადგენთ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, ორი პარტიიდან რომელი სჯობს. არ მინდა ჩავერიო თქვენს საშინაო საქმეებში. (**გამოცოცხლება**).

ფულბრაიტი აყენებს ახალ კითხვას: მზად ხართ თუ არა დაეთანხმოთ იმას, რომ რომელიმე თქვენმა მოკავშირემ ორპარტიული სისტემა აირჩიოს?

— ასეთ საკითხებს თვით ხალხები წყვეტენ, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი.

სიტყვას იღებს ამერიკის სენატის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე სენატორი ჰარისონი, რომელიც სენატის ასიგნობათა კომისიის წევრია. იგი იძლევა კითხვას: ემხრობით თუ არა თქვენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის გაფართოებას?

— დიახ, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი, — ჩვენ ვემხრობით ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის უფართოეს კულტურულ და მეცნიერულ გაცვლას. მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად ამ საქმის დაბრკოლების მიზეზი ჩვენ როდი ვართ. 1960-1961 წლებისათვის კულტურული ურთიერთობის შესახებ შეთანხმების კონტრპროექტი, რომელიც ამერიკის მხარემ წამოაყენა, არათუ არ ითვალისწინებს ურთიერთობის გაფართოებას, არამედ, პირიქით, მათი შემცირებისაკენ არის მიმართული.

კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, რომელიც საუბარს ესწრება, იძლევა ცნობას, რომ ამერიკის კონტრპროექტი ითვალისწინებს მხოლოდ ორ დიდ ღონისძიებას მსახიობთა გაცვლის დარგში 1960 წლისათვის და მხოლოდ ერთ დიდ ღონისძიებას — 1961 წლისათვის. ტექნიკური გაცვლის შესახებ 17 საბჭოთა წინადადებიდან ამერიკის მხარემ არც ერთი არ მიიღო. რაც შეეხება ამერიკის წინადადებებს ტექნიკური გაცვლის შესახებ, საბჭოთა დელეგაცია უკვე დათანხმდა მთელ რიგ ღონისძიებებზე, იმ პირობით, რომ სახელმწიფო დეპარტამენტიც მიიღებს თუნდაც ზოგიერთ საბჭოთა წინადადებას.

სენატში დემოკრატიული პარტიის ლიდერი სენატორი ლ. ჯონსონი კითხულობს, დათანხმდება თუ არა სსრ კავშირი კოსმოსის ათვისების დარგში საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს შორის თანამშრომლობაზე?

— უდავოდ, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი.

— მაშ რატომ თქვით უარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის ათვისების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე? — კითხულობს ჯონსონი.

— თქვენ ეს იცით, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — თქვენ გინდოდათ ამ კომიტეტში ჩაგვეყენებინეთ ღარიბი ნათესავის მდგომარეობაში, მაგრამ ამაზე ჩვენ არ დავთანხმდებით. ჩვენ გთავაზობდით თქვენთან თანამშრომლობას პარიტეტულ საწყისებზე, თქვენ კი არ დაეთანხმეთ ამას. მაშინ ჩვენ უარი ვთქვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე. თქვენ მშვენივრად იცით, რომ კოსმოსის ათვისებაზე მუშაობა ჯერჯერობით პრაქტიკულად შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ და თქვენ. თქვენ კი გინდოდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტში უკანა რიგებში დაგვეყენებინეთ. ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით, რომ ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში გვაყენებდნენ. ჩვენ არა გვსურს ვისმენდეთ ნოტაციებს კომიტეტში, სადაც თქვენ უმრავლესობა გაქვთ. ნუ შელახავთ ჩვენს თავმოყვარეობას, და არც ჩვენ შევლახავთ თქვენს ინტერესებს. მაშინ თანამშრომლობა უზრუნველყოფილი იქნება.

— მე მინდა, — ამბობს ფულბრაიტი, — სიტყვა მივცე კონგრესის უმცირესობის წარმომადგენელს, გამოცდილ პოლემისტს, სენატში რესპუბლიკური პარტიის ლიდერს დირქსენს.

ე. დირქსენი აცხადებს, რომ მას ორი კითხვა აქვს. ის ჯერ კითხულობს, „ხომ არ არის იმის იმედი", რომ საბჭოთა კავშირში მოიხსნება კონტროლი უცხოელ კორესპონდენტთა ცნობების საზღვარგარეთ გადაცემაზე.

— თვითეულ ხალხს აქვს თავისი ტრადიციები, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — და თვითეულ სახელმწიფოს აქვს თავისი კონსტიტუცია. თქვენში გაზეთებს შესაძლებლად მიაჩნიათ გამოაქვეყნონ ყოველგვარი ცილისმწამებლური მონაჭორი და ყოველგვარი, ზოგჯერ პროვოკაციული აზრები, რომლებიც ომისაკენ აშკარა მოწოდებამდე მიდის. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ვისმე აზრად რომ მოუვიდეს ასეთი სტატიის დაწერა, მას პასუხისგებაში მისცემდნენ: ჩვენში კანონით აკრძალულია ომის პროპაგანდა. თქვენი კორესპონდენტები თავისუფლად გადასცემენ საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ ყოველ ინფორმაციას, ყოველ სტატიას, თუ მასში დამახინჯებული არ არის ფაქტები, თუ ეს სტატიები უხეშად ცილისმწამებლური და საბჭოთა ხალხისათვის შეურაცხმყოფელი არ არის და თუ ისინი ომისაკენ არ მოუწოდებენ.

ბევრი თქვენი კორესპონდენტი საკმაოდ გონივრულ სტატიებს გადასცემს, და ჩვენი პრესა ზოგიერთ მათგანს კიდევაც გადაბეჭდავს ხოლმე. მაგრამ ამასთანავე არიან ისეთი კორესპონდენტებიც, რომლებიც ბოროტად იყენებენ პრესის თავისუფლებას.

— ამერიკის შეერთებულ შტატებში მომუშავე თქვენი კორესპონდენტები თავისუფალი არიან კონტროლისაგან, — შენიშნავს დირქსენი.

ამაზე ნ. ს. ხრუშჩოვი უპასუხებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მომუშავე რომელიმე საბჭოთა კორესპონდენტმა ყალბი ცნობა რომ გადასცეს, მას დაუყოვნებლივ აუკრძალავდნენ მუშაობას თავის რედაქციაში. საბჭოთა ჟურნალისტები პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მისიას. ზოგიერთი დასავლეთელი კორესპონდენტი კი, რომელიც მოსკოვში მუშაობს, თავს ნებას აძლევს დაწეროს ისეთი რამ, რომ მისი კორესპონდენცია ტელეგრაფის მუშაკ ქალს რომ მიეცეს გადასაცემად, იგი აღშფოთდებოდა და უარს იტყოდა საზღვარგარეთ გადაეცა ეს აბდაუბდა. ჩვენში ცენზურა არ არის. არსებობს მხოლოდ კონტროლი, რომელიც თავიდან გვაცილებს პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას. ჩვენ არა გვსურს შემარიგებლური დამოკიდებულებით ხელი შევუწყოთ ხალხებს შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივებას.

ჩვენ გვსურს ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა.

გ. ა. ჟუკოვი წინადადებას აძლევს სენატორ დირქსენს გადასცეს მის განკარგულებაში ფაქტიური მონაცემები პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ, რასაც უშვებს მოსკოვში მომუშავე ზოგიერთი უცხოელი კორესპონდენტი. დირქსენი თავს არიდებს პასუხს.

შემდეგ დირქსენი აყენებს მეორე კითხვას — მიეცემათ თუ არა უცხოელებს საბჭოთა კავშირში მიმოსვლის შეუზღუდველი თავისუფლება? ამასთან იგი იმოწმებს, რომ საბჭოთა ადამიანებს თითქოს სრულიად შეუზღუდველად შეუძლიათ იმოგზაურონ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

— მოდით ასე შევთანხმდეთ,— ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — ყოველ კილომეტრში, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გაივლიან, ჩვენ მივცემთ ორ კილომეტრს ამერიკელებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ი. აჯუბეი აცხადებს, რომ მას ერთხელ უარი უთხრეს იმის ნებართვაზეც კი, რომ გადაეფრინა შეერთებულ შტატებზე, მათს ტერიტორიაზე მოგზაურობის შესახებ რომ აღარა ვთქვათ რა, თუმცა ვიზისათვის მან პირადად სახელმწიფო მდივან დალესს მიმართა. იგი დასძენს, რომ საბჭოთა კორესპონდენტებს, რომლებიც ნიუ-იორკში ჩადიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობის გასაშუქებლად, უფლება ეძლევათ იარონ ქალაქის მხოლოდ გარკვეული ქუჩებით.

— მე მითხრეს, — შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ საბჭოთა დიპლომატებს ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში ჩასვლაც კი არ შეუძლიათ, თუ სპეციალური ნებართვა არა აქვთ. მაგრამ მე არ მინდა გავაკრიტიკო თქვენი საშინაო წესები. მე მინდა მხოლოდ მოგცეთ კითხვა: რა გსურთ თქვენ? თქვენ ამბობთ, რომ თქვენ გსურთ იმგზავროთ იქ, სადაც მოგენებებათ. ეს თქვენ სავსებით გარკვეული მიზნებით გესაჭიროებათ. ნუ ეცდებით შესვლას სხვის საწოლ ოთახში, როცა მისი კარი დაკეტილია გასაღებით. ეს უზრდელობაა. რა ხალისი გაქვთ იჭვრიტებოდეთ კლიტის ჭუჭრუტანაში? თქვენ გსურთ საბჭოთა კავშირში მიმოსვლის შეზღუდვის გაუქმება? მოდით შევთანხმდეთ! მოდით მოვახდინოთ სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიებზე და გამოვიწვიოთ ჯარები სხვისი ტერიტორიებიდან, დავაბრუნოთ ისინი ეროვნულ საზღვრებში. პირობას გაძლევთ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ შესაძლებლობას მიიღებთ გაემგზავროთ სადაც გენებებათ. თქვენ კი გარს შემოგვარტყით სამხედრო ბაზები და გინდათ იაროთ ჩვენს ქვეყანაში და ათვალიეროთ ჩვენი სამხედრო ბაზები. ჩვენ ამას სამხედრო დაზვერვას ვუწოდებთ. აი რატომ ვხურავთ ზოგიერთ რაიონს, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

— ჩვენი სტუმარი კარგი მოწინააღმდეგეა ყოველ პარლამენტში გამოსვლებისათვის, — საერთო სიცილში ამბობს სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სენატორი რ. რასელი.

— მოწინააღმდეგე კი არა, დამცველი, — შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი.

(დასასრული მე-2 გვერდზე)



ნიუ-იორკი. 18 სექტემბერს ნაშუადღევს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ნელსონ როკფელერმა ვიზიტი მოუწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მის რეზიდენციაში სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიაში". ნ. ს. ხრუშჩოვსა და როკფელერს შორის გაიმართა საუბარი. (**სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. როკფელერი**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

(დასასრული)

— თქვენ კარგად იცით ბევრი რამ ჩვენი ქვეყნის შესახებ, — განაგრძობს რასელი. — მაგრამ მე გაკვირვებული ვარ, რომ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ გვსურს ვერეოდეთ თქვენს საშინაო საქმეებში. მე 25 წელია სენატის კომისიის წევრი ვარ, მაგრამ არა ვიცი რა სხვა ქვეყნებში ძირგამომთხრელი მუშაობისათვის ასიგნობათა შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხი ახლა უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ოდესმე.

— სწორია, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი.

— და კიდევ უფრო კარგად იცხოვრებს, — განაგრძობს რასელი. — ჩვენ არ ვაპირებთ ვერეოდეთ თქვენს საშინაო საქმეებში, მაგრამ მე მინდა დავაყენო ასეთი კითხვა: თქვენ ემხრობით ხალხთა თვითგამორკვევას, მზად ხართ თუ არა ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებლებს მისცეთ უფლება თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი პლებისციტის გზით?

ნ. ს. ხრუშჩოვი მოაგონებს, რომ საუბრის დასაწყისში დათქმული იყო არ აღეძრათ საკითხები, რომლებიც მესამე მხარეებს ეხება.

— მე რუსი ვარ, — ამბობს იგი, — და აქ საბჭოთა კავშირს წარმოვადგენ. თქვენ კი გერმანელთა საქმეები გაინტერესებთ. თუ ამის შესახებ კითხვები გაქვთ, მიმართეთ ამ კითხვებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, და იგი მოგცემთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას. მისამართი ცნობილია: ბერლინი, გროტევოლს. მიუვა! (გამოცოცხლება).

— თქვენ ადასტურებთ ჩემს შენიშვნას იმის შესახებ, რომ კარგი პოლემისტი ხართ, — დარცხვენით შენიშნავს რასელი. — მე კიდევ ერთი კითხვა მაქვს. თქვენ მჭევრმეტყველურად გვიამბეთ მთვარეზე საბჭოთა რაკეტის გაგზავნის შესახებ. ჩვენ გვქონდა წარუმატებლობანი რაკეტების გაშვების დროს, თქვენ გქონდათ თუ არა?

— რატომ მე მეკითხებით ამაზე, — ამბობს ღიმილით ნ. ს. ხრუშჩოვი, — სჯობს ჰკითხოთ ნიქსონს, მან უკვე უპასუხა ამ კითხვაზე, როცა განაცხადა, რომ ჩვენში თითქოს იყო სამი წარუმატებელი გაშვება რაკეტისა მთვარეზე. მან უკეთ იცის, როგორ არის ჩვენში საქმე. (სიცილი). ნიქსონმა თქვა, ინფორმაციით საიდუმლო წყაროდან ვსარგებლობო, მაგრამ რა წყაროა ეს, არ უთქვამს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ასეთი საიდუმლოების გამჟღავნება, — ეს ხომ მონაგონია.

მაგრამ თუ თქვენ გსურთ, გიპასუხებთ ამ კითხვაზეც. რა თქმა უნდა, კოსმოსში რაკეტის გაშვება მარტივი საქმე როდია. ამას დიდი ჯაფა სჭირდება. გაგიმჟღავნებთ საიდუმლოებას: ჩვენი მეცნიერები ვარაუდობდნენ გაეშვათ რაკეტა მთვარეზე ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ. რაკეტა მომზადებული და სტარტზე დაყენებული იყო, მაგრამ როცა აპარატურის შემოწმებას შეუდგნენ, გამოირკვა, რომ იგი მთლად ზუსტად ვერ მუშაობდა. მაშინ რისკის ყოველგვარი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად მეცნიერებმა რაკეტა სხვა რაკეტით შეცვალეს. გაშვებულ იქნა ეს მეორე რაკეტა. მაგრამ პირველი რაკეტა მთელია, და თუ გსურთ, შეგვიძლია ისიც გავუშვათ.

აი როგორი იყო საქმის ვითარება. მე შემიძლია ამის დასადასტურებლად ხელი დავადო სახარებას, დაე ნიქსონმაც დაადოს ხელი. (საერთო სიცილი, ტაში).

სენატორი რასელი მადლობას უხდის ნ. ს. ხრუშჩოვს და აცხადებს, რომ მთვარეზე საბჭოთა რაკეტის გაშვება საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავი გამარჯვება იყო, რომელსაც ამერიკელები გულწრფელად ულოცავენ საბჭოთა მეცნიერებს.

— გმადლობთ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — ჩვენ კმაყოფილი ვართ ჩვენი მეცნიერების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებით.

უხუცესი სენატორი გრინი, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, იძლევა კითხვას, შესაძლებლად მიაჩნია თუ არა ნ. ს. ხრუშჩოვს „თავისუფალი არჩევნების" გატარება დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში უახლოეს 6 თვეში.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოაგონებს, რომ საუბრის მონაწილეები შეთანხმდნენ არ შეხებოდნენ მესამე ქვეყნების საშინაო საქმეებს. მაგრამ რამდენადაც გერმანიის საკითხი შედის დიდი სახელმწიფოების კომპეტენციაში, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ, იგი თანახმაა გამოთქვას აზრი ამ საკითხზე.

— ჩვენი პოზიცია თქვენთვის ცნობილია, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ ყოფილი გერმანიის ტერიტორიაზე ამჟამად არსებობს სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ორი სუვერენული სახელმწიფო. დაე თვითონ გერმანელებმა გადაწყვიტონ საკითხი, თუ როგორ იცხოვრონ შემდეგში. როგორც ისინი გადაწყვეტენ, ასეც იქნება. მე არ შემიძლია გიპასუხოთ ამხანაგ გროტევოლისა და ადენაუერის მაგიერ. უმჯობესი იქნება ისინი ერთმანეთს შეხვდნენ უთარჯიმანოდ.

სენატორი გრინი შემდეგ იძლევა კითხვას, როგორ ტარდება არჩევნები საბჭოთა კავშირში. მართალია თუ არა, რომ სსრ კავშირში წამოაყენებენ ხოლმე მხოლოდ ერთი პარტიის კანდიდატებს, ამასთან კენჭისყრა შეიძლება მხოლოდ ერთი კანდიდატისათვის?

— მთლად ასე არ არის, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი. — ჩვენს პარლამენტში დეპუტატების ორმოცამდე პროცენტი უპარტიოებია. საბჭოთა კავშირში მართლაც მხოლოდ ერთი პარტია არსებობს. პირველ პერიოდში, როცა ჩვენში ჯერ კიდევ არსებობდნენ ანტაგონისტური კლასები, ჩვენს პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ სხვა პარტიებიც. მაგრამ შემდეგში ჩვენი საზოგადოების წყობა შეიცვალა. ამჟამად ჩვენში არ არიან ანტაგონისტური კლასები, ყველა მშრომელთა ინტერესებს წარმოადგენს კომუნისტური პარტია — მშრომელთა პარტია. არჩევნებისათვის მზადების დროს კანდიდატების დასახელება შემდეგნაირად ხდება.

მშრომელთა კოლექტივები ასახელებენ სხვადასხვა კანდიდატს, ამასთან მათი რიცხვი შეზღუდული არ არის. თვითეული კოლექტივი აგიტაციას ეწევა თავისი კანდიდატის სასარგებლოდ. შემდეგ იკრიბებიან დემოკრატიული წესით არჩეული ნდობით აღჭურვილი პირები მშრომელთა კოლექტივებისა და კენჭისყრით წყვეტენ, ყველაზე ღირსეული რომელი კანდიდატი უნდა იქნას დატოვებული სიაში კენჭისაყრელად. ამომრჩევლებიც მას აძლევენ ხმას.

თქვენში სხვა საარჩევნო სისტემაა, ეს ტრადიციის საქმეა. თვითეული ხალხი ქმნის ისეთ სისტემას, როგორიც მას მოსწონს.

სენატორმა უაილიმ, საგარეო საქმეთა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ასეთი კითხვა დააყენა: „რა თქმა უნდა, აქეთ რომ მომგზავრებოდით, თქვენ განსაზღვრულ მიზანს ისახავდით. რა შედეგებს გინდათ მიაღწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მგზავრობის შედეგად?"

— მე უფლება მექნებოდა იგივე კითხვა მომეცა თქვენთვისაც, ბატონო სენატორო, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი. — რაც შეგვეხება ჩვენ, მზად ვართ გადავდგათ ყოველი ნაბიჯი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, კერძოდ განიარაღების საკითხში. მაგრამ შეთანხმებას რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა სასარგებლო შედეგების მიღწევის ურთიერთ სურვილი. აიღეთ განიარაღების საკითხი. მზად ხართ თუ არა ახლა მოახდინოთ სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიაზე და გაიყვანოთ ჯარები ეროვნულ საზღვრებში? ჩვენ მზად ვართ ამისათვის!

თქვენ ამტკიცებთ, რომ სოციალისტური წყობილება ისეთ ქვეყნებში, როგორიც პოლონეთი და უნგრეთია, სადაც ჯერჯერობით კიდევ არიან ჩვენი ჯარები, მხოლოდ იმის მეოხებით არსებობს, რომ ეს ჯარები არიან იქ.

გინდათ შეამოწმოთ თქვენი თავი? შესაძლებლობა გაქვთ ნახოთ, როგორ მოაწყობენ პოლონელები თავიანთ საქმეებს, როცა იქ უცხო ჯარები არ იქნებიან. თქვენ ამბობთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჩვენი ხიშტების მეოხებით არსებობს. მოდით შევთანხმდეთ თქვენი და ჩვენი ჯარების ეროვნული საზღვრების ფარგლებში გაყვანაზე და ვნახოთ, რა გამოვა აქედან. თანახმა ხართ? (სენატორი დიდხანს დუმს). მოდით ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას ჯარების გაყვანის შესახებ! დაე ჯარისკაცები შინ დაბრუნდნენ! რა სიხარულით მოეხვევიან მათ დედები და საცოლეები! თანახმა ხართ? (სენატორი კვლავ დუმს). აი ხედავთ, თქვენ თვითონ ვერ გადაგიწყვეტიათ დათანხმდეთ ამას. მაშ მე როგორ შემიძლია ვთქვა, თუ რა შედეგები იქნება მიღწეული ჩემი მოგზაურობის შედეგად. მე არ ვიცი, რა ნაბიჯების გადასადგმელად ხართ მზად, შეერთებულ შტატებში კი სენატზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

თავმჯდომარე ფულბრაიტი აცხადებს, რომ სენატორები მოხარული იყვნენ შეხვედროდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს და განეხილათ მასთან მათთვის საინტერესო მთელი რიგი საკითხები. მე დარწმუნებული არა ვარ, ამბობს იგი, რომ ჩვენ აქ რაიმე საქმეები გადავწყვიტეთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახლა უკეთ გვესმის ერთმანეთისა, ეს კი ბევრს ნიშნავს.

ნ. ს. ხრუშჩოვი მადლობას უხდის სენატორებს ყურადღებისათვის და ტოვებს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის დარბაზს.

(საუბარი ჩაწერილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფის მიერ).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ნიუ-იორკში ყოფნის დროს ქალაქის მერმა რობერტ ვაგნერმა საუზმე გამართა ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ქალაქის მუნიციპალური ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. ს უ რ ა თ ზ ე: საუზმის დროს.

ფოტო საქდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვის.
(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

დარბაზობაზე ლოს-ანჟელოსში 19 სექტემბერს

პატივცემულო ბატონო მერო! ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ სტუმართმოყვარეობისა და ამ შეხვედრაზე მოწვევისათვის. ჩვენთვის სასიამოვნოა შეხვედრა ქალაქ ლოს-ანჟელოსის საქმიანი წრეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ჩვენ დიდად ვაფასებთ, რომ საშუალება მოგვეცა გავეცნოთ დიდი ამერიკელი ხალხის ცხოვრებასა და მიღწევებს. რა თქმა უნდა, ცოტა როდი უნდა იმოგზაურო ისეთ ვრცელ და მრავალფეროვან ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, რათა ცოტად თუ ბევრად სწორი წარმოდგენა იქონიო მასზე. მაგრამ ამბობენ, თუ გსურს სწორი წარმოდგენა იქონიო შეერთებულ შტატებზე, ასეთ წარმოდგენას ვერ მიიღებ, თუ მზიური კალიფორნია არა ნახეო. როცა დღეს გადმოვფრინდით აქ შეერთებულ შტატების აღმოსავლეთ სანაპიროდან და დავათვალიერეთ ლოს-ანჟელოსი (რა თქმა უნდა, მანქანიდან), ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს აზრი სწორია.

გასული საუკუნის შუა ხანებში კალიფორნიამ თავი ისახელა ოქროს მოპოვებით, და ახლა მას ხატოვნად უწოდებენ თქვენში „ოქროს შტატს". მაგრამ კალიფორნიისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა „ოქროს შტატი", თუნდაც მის წიაღში არ ყოფილიყო ოქროს ქვიშა. ნაყოფიერმა მიწებმა თბილმა და რბილმა ჰავამ, თავისი სილამაზით განუმეორებელმა პეიზაჟებმა ადამიანის დიდი შრომის დახარჯვასთან ერთად, რაშიც ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით, კალიფორნია გადააქცია მდიდარ მხარედ. ხეხილის ბაღები, ვენახები და ბამბის პლანტაციები გაშენებულია შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამრეწველო ცენტრის — ლოს-ანჟელოსის მეზობლად. როცა თქვენს ქალაქს ეცნობი, განიცდი პატივისცემის გრძნობას თაოსნობისა და შეუდრეკელი ნებისადმი, რაც გამოიჩინეს ამერიკელმა პიონერმა ახალმოშენეებმა და მათმა შთამომავლებმა ბუნების ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თქვენთვის, კალიფორნიის მცხოვრებთათვის, რომლის ათვისება საგრძნობლად უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების სხვა რაიონებისა, ალბათ, გასაგები უნდა იყოს საბჭოთა ადამიანების ენთუზიაზმი, რომლებიც ახლა აშენებენ ახალ დიდ ქალაქებს, მსოფლიოში უდიდეს ჰიდროსადგურებს, სამრეწველო კომბინატებს ციმბირისა და ყაზახეთის ოდესღაც მიყრუებულ რაიონებში, უზრუნველყოფენ წინათ თითქმის ცარიელი ადგილების დასახლებასა და კეთილმოწყობას. იმისათვის, რომ წარმოიდგინოთ ამ სამუშაოთა გაქანება, შემიძლია გითხრათ, რომ ციმბირისა და ყაზახეთის სივრცეებზე საბჭოთა ადამიანებმა უკანასკნელ წლებში გატეხეს ყამირი, რომლის საერთო ფართობი თავისი სიდიდით ორნახევარჯერ აღემატება კალიფორნიის მთელ სასოფლო-სამეურნეო ფართობს. რა თქმა უნდა, არის ზოგიერთი განსხვავება ჩვენი ქვეყნების ბუნებრივ პირობებში. თქვენს პიონერებს კალიფორნიის ახალი მიწების ათვისება მოუხდათ მცხუნვარე მზის ქვეშ. საბჭოთა ადამიანები ყაზახეთისა და ციმბირის რაიონების სიმდიდრეს ეუფლებიან გამახალისებელი ორმოცგრადუსიანი ყინვის პირობებში. ვისაც თქვენში ცხელა, ჩამოდით ჩვენთან. ჩვენში შეიძლება გაგრილება.

ჩვენს შეხვედრაზე მე მინდა მოკლედ გითხრათ შეერთებულ შტატებში ჩვენი ვიზიტის მიზნების შესახებ. ჩვენ მადლობით მივიღეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოწვევა ჩამოსულიყავით თქვენს ქვეყანაში, გავცნობოდით თქვენი ხალხის ცხოვრებას, განგვეხილა პრეზიდენტთან ერთად მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ორივე ჩვენს ქვეყანას აინტერესებს.

არის ერთი საკითხი, რომელსაც თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და ამერიკელი ხალხებისათვის, აგრეთვე ყველა სხვა ხალხისათვის, — ეს არის მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხი. ყველა ითვალისწინებს, რომ ერებისა და სახელმწიფოების კეთილდღეობა და აყვავება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიმართულებით წავა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება უახლოეს წლებში — მშვიდობის განმტკიცებისაკენ, თუ ომის საფრთხე სულ უფრო გაიზრდება.

რა გვიშლის ხელს ამჟამად, რომ გავაერთიანოთ სახელმწიფოთა ღონისძიებანი და მივმართოთ საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად? უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოების ურთიერთობა, კერძოდ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, ამძიმებს „ცივი ომის" ვითარება.

შეიძლება კიდევ გასაგები იყოს, როცა ურთიერთობის გამწვავება სახელმწიფოებს შორის გამოწვეულია რეალური წინააღმდეგობებით, ისეთებით, მაგალითად, როგორიც არის დავა ტერიტორიების გამო, ეკონომიური ხასიათის პრეტენზიები. მაგრამ „ცივი ომის" ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მისი მონაწილე ხდებიან ქვეყნები, რომლებსაც უშუალოდ არა აქვთ ამგვარი წინააღმდეგობანი.

მე მითხრეს, რომ ლოს-ანჟელოსში შეიძლება ნახოთ ისეთი ატმოსფერული მოვლენა, რომელსაც თქვენში უ წ ო დ ე ბ ე ნ „სმოგს", — ეს ხდება, როცა ცუდ ამინდში ნისლს შეერევა ბოლი და ჭვარტლი და შედეგად ადამიანებს უმძიმთ სუნთქვა. ვფიქრობ, რომ „სმოგი" ბევრ რამეში მოგვაგონებს „ცივ ომს".

„ცივ ომს" სწორედ იმიტომ ეწოდება „ცივი", რომ ალს ჯერ, საბედნიეროდ, არ იძლევა, მაგრამ აგროვებს ბევრ საწვავ მასალას, რომელსაც შეიძლება ცეცხლი გაუჩნდეს ყოველ შემთხვევითი ნაპერწკლისაგან. „ცივი ომი" საკმაოზე მეტ ჭვარტლს იძლევა. იმისათვის, რომ მოგვარდეს თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის, საჭიროა ერთობლივი ღონისძიებებით მოვუღოთ ბოლო „ცივ ომს", გავთავისუფლდეთ მის შედეგად წარმოშობილი წინაზრახვებისაგან, მტრობისა და ურთიერთ უნდობლობისაგან. და რაც უფრო ადრე მოვუღებთ ბოლოს „ცივ ომს", მით უკეთესი იქნება ჩვენი ხალხებისა და მთელი კაცობრიობისათვის.

მინდა დავიჯერო, რომ ვიზიტების გაცვლა პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და ჩემს შორის ხელს შეუწყობს იმას, რომ „ცივი ომი" საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს და რომ დადგება უფრო თბილი ჰავა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომელიც იქნება კალიფორნიის ჰავის ან ყირიმის სამხრეთი ნაპირის არანაკლებ კეთილმყოფელი ჰავის მსგავსი, ყირიმისა, სადაც ამას წინათ დავისვენე.

„ცივი ომის" წლებში, როგორც ცნობილია, ცოტა საერთაშორისო პრობლემა როდი დაგროვდა, რომელნიც გადაჭრას ელოდებიან.

უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი პრობლემაა განიარაღების პრობლემა. როცა აწონ-დაწონი ყველა უარყოფით შედეგს, რომელიც გამალებულ შეიარაღებას მოჰყვება თან, პირველ რიგში მხედველობაში გაქვს არა ადამიანის შრომის, ცოდნისა და გამომგონებლობის უაზრო ხარჯვა, არა ეკონომიკის მძიმე დატვირთვა, მათ შორის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოთა ეკონომიკისა, არამედ სწორედ ომის დაწყების საფრთხე, რაც გარდუვალად თან ახლავს გამალებულ შეიარაღებას.

დღეს უკვე ბევრს ესმის იმ საფრთხის მთელი სერიოზულობა, რასაც გამალებული შეიარაღება ქმნის. საიდუმლოება ხომ არ არის, რომ მოსპობის თანამედროვე საშუალებანი იმდენია დაგროვებული, რომ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ საშინელი ნგრევა და კოლოსალური მსხვერპლი.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში დიდი სივრცეები, ოკეანეები ბუნებრივი დაბრკოლება იყო იმის წინააღმდეგ, რომ საომარი კონფლიქტები გავრცელებულიყო და კონტინენტიდან კონტინენტზე გადასულიყო. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა გაანადგურეს უმთავრესად ევროპა, აზიისა და აფრიკის ზოგიერთი რაიონი. დღეს მდგომარეობა სხვაა. მანძილი დედამიწის ყველაზე დაშორებულ პუნქტებს შორის ახლა განიზომება სულ ათობით წუთით და მოსპობის ყველაზე გამანადგურებელი საშუალება — ატომგულის იარაღი — შეიძლება გადავიტანოთ დედამიწის ყოველ რაიონში.

ჩვენ საბჭოთა კავშირში ხშირად ვეკითხებით ჩვენს თავს, — მიუხედავად ჩვენი მისწრაფებისა შევთანხმდეთ დასავლეთის სახელმწიფოებთან განიარაღების შესახებ, რატომ გვახვევენ თავს გამალებულ შეიარაღებაში მონაწილეობას? შესაძლებელია მიზნად ისახავდნენ გამალებული შეიარაღების შედეგად მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირის წინაშე. მაგრამ რაც უნდა ითქვას, გამალებული შეიარაღება ხომ, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, ორი პირით მჭრელი იარაღია.

გამალებული შეიარაღება სასარგებლო არ არის არც საბჭოთა და არც ამერიკელი ხალხისათვის, რა მხრივაც უნდა შევაფასოთ იგი, იგი სულ უფრო უაზრო და საშიში ხდება. შეიარაღების მრუდე ისე შორს ავიდა მაღლა, რომ დღეს ყველაზე უფრო საჭიროა სერიოზულად და პატიოსნურად შევთანხმდეთ განიარაღებაზე.

აქ დამსწრეებმა ალბათ უკვე იციან, რომ გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე საბჭოთა მთავრობამ შეიტანა კარდინალური წინადადებანი განიარაღების დარგში. ამ წინადადებათა არსი ის არის, რომ მეტად მოკლე ვადებში, დაახლოებით ოთხ წელიწადში, განხორციელდეს სახელმწიფოთა საყოველთაო და სრული განიარაღება, მოისპოს ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის ატომგულის იარაღი და რაკეტები, დაშლილ იქნან მთელი შეიარაღებული ძალები, გაუქმდეს სამხედრო სამინისტროები და გენერალური შტაბები. სახელმწიფოთა განკარგულებაში დარჩებოდა მხოლოდ პოლიციის (მილიციის) მცირე შეთანხმებული კონტინგენტები, რომლებიც განკუთვნილი იქნებიან შინაგანი წესრიგის და მოქალაქეთა უშიშროების დასაცავად და შეიარაღებული იქნებიან მხოლოდ მსუბუქი სასროლი იარაღით.

ჩვენი ახალი წინადადებების მნიშვნელობის სრული შეფასებისათვის საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ამ წინადადებებით ისპობა ერთ-ერთი მთავარი სიძნელე, რომელიც განიარაღების შესახებ ყველა წინანდელი მოლაპარაკების დროს წარმოიშვა, სახელდობრ კონტროლის საკითხი, რადგან სრული განიარაღებისას სახელმწიფოებს ერთმანეთისათვის დასამალავი არაფერი ექნებათ და კონტროლი შესაბამისად შეიძლება იქნას სრული და ყოვლის მომცველი. ეს იქნება სწორედ კონტროლი და არა დაზვერვა, იმიტომ რომ არმიების უყოლობის დროს დაზვერვა მნიშვნელობას კარგავს.

აღნიშნულ წინადადებათა შემოტანით ჩვენ გვსურს გადავჭრათ განიარაღების პრობლემა მთლიანად, ერთხელ და სამუდამოდ; სახელმწიფოები ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, როცა მათ არ ექნებათ ომის წარმოების მატერიალური საშუალებანი. ხომ ძნელი წარმოსადგენია, რომ თუ არც თვითმფრინავები, არც ტანკები, არც რაკეტები, არც სხვა თანამედროვე სახეობათა იარაღი ექნებათ, ამერიკელები და რუსები ომს არ დაუწყებდნენ ერთმანეთს, შეიარაღებულნი, მაგალითად, სუფრის ჩანგლებითა და დანებით. ჩვენ უცვლელად გვწამს ადამიანის კეთილი მისწრაფება, რომ ადამიანები იმისთვის კი არ არიან დაბადებულნი, რომ ერთმანეთი დახოცონ, არამედ იმისათვის, რომ იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით. თქვენ იცით, რომ ქრისტიანული რელიგიის პირველი მცნება ამბობს: „არა კაც კლა".

რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ განიარაღების იდეას ცოტა მოწინააღმდეგე როდი ჰყავს, რომ ჩვენი ახალი წინადადებანი ყველას როდი მოეწონება. ჩვენ გვსურს დავიჯეროთ, რომ ეს წინადადებანი, რომლებიც გაკეთებულია მთელი გულწრფელობით და წარმოადგენენ იმის მაქსიმუმს, რასაც შეიძლება დათანხმდეს დიდი სახელმწიფო, განსაკუთრებით ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის პირობებში, კეთილსასურველ გამოხმაურებას ჰპოვებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ გვსურს აგრეთვე იმედი ვიქონიოთ, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ჩვენი საუბრების შედეგად სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შეუძლიათ უკეთ გაიგონ ერთმანეთის პოზიციები განიარაღების საკითხში, ხოლო შემდეგ გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ამ ყველაზე რთული, თანამედროვეობის ყველაზე არსებითი პრობლემის გადაჭრის საქმეში. ხოლო თუ ჩვენი ქვეყნები საერთო ენას გამონახავენ, მივლენ საერთო აზრამდე განიარაღების საკითხებში, მაშინ შეიძლება გაბედულად ვთქვათ, რომ სიძნელეთა მეტი ნაწილი უკვე უკან დარჩა.

მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ხალხები მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ. ხოლო თუ ისტორიის ყველაზე დაძაბულ პერიოდებში ჩვენი ხალხები ერთად იყვნენ, განა შეიძლება იყოს უფრო სწორი მაჩვენებელი იმისა, რომ ძირეული და ხანგრძლივი ინტერესები მოითხოვენ, რომ ორივე ქვეყანას თანამშრომლობა და მეგობრობა ჰქონდეს?

ამასთან დაკავშირებით მაგონდება პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის ნათქვამი 1955 წელს ჟენევაში: „ამერიკელ ხალხს სურს საბჭოთა ხალხის მეგობარი იყოს. ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს შორის არ არის დავა, მათ შორის არ არის კონფლიქტები, არ არის სავაჭრო მტრობა. ისტორიულად ჩვენს ხალხებს ყოველთვის მშვიდობიანად უცხოვრიათ".

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის ბევრი რამ არის საერთო. ჩემი შეხვედრები მარწმუნებენ, რომ ამერიკელი ხალხი აფასებს მშვიდობას და უყვარს იგი. მე კიდევ ბევრი თვისება შევნიშნე, რომლებიც აახლოებენ ჩვენს ხალხებს. ეს არის შრომისმოყვარეობა, მისწრაფება ახლისადმი, ცოდნისადმი, ტექნიკური პროგრესისადმი და, ბოლოს, ისეთი კარგი ადამიანური თვისებები, როგორიც არის გულახდილობა, ჰუმორის გრძნობა, კეთილმოსურნეობა და თავისი ქვეყნის სიყვარული.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვიხარია, რომ ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში ახალი ნაკადი გაჩნდა. საბჭოთა და ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეების ურთიერთ მოგზაურობა და შეხვედრები, სულ უფრო გაცხოველებული კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა, გაცვლა სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, გამოფენების მოწყობა, ტურიზმის განვითარება — ყოველივე ეს ახლის ყლორტებია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში. ლოს-ანჟელოსი ამერიკის კინემატოგრაფიის ცენტრია. კინო ყველაზე მასობრივი ხელოვნებაა, მას უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში. თუ სწორად წარიმართება, კინოს შეუძლია ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების, ჰუმანური იდეებისა და კეთილი გრძნობების გავრცელების დიდმნიშვნელოვანი საშუალება იყოს. ხოლო თუ არასწორად წარიმართა, იგი გადაიქცევა სიძულვილის გაღვივების საშუალებად და შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს მეგობრობის, მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. კინემატოგრაფიის მუშაკებზეა დამოკიდებული, თუ რა მიზნებს გაუწევს სამსახურს ეს ძლიერი ხელოვნება. ჩვენს ქვეყანაში დიდ მნიშვნელობა ენიჭება კინემატოგრაფიის განვითარებას, ისეთი ფილმების შექმნას, რომლებიც ადამიანებს ზრდიან ხალხთა შორის მეგობრობის, ჰუმანიზმის, მშვიდობისა და პროგრესის მაღალი იდეალების სულისკვეთებით.

ლოს-ანჟელოსს პირი აღმოსავლეთისაკენ აქვს. წყნარი ოკეანე ეკვრის ლოს-ანჟელოსის სანაპიროსაც და საბჭოთა ქალაქ ვლადივოსტოკის სანაპიროსაც. თქვენი ქალაქის წარმომადგენლებს რომ ვხვდებოდი, მინდოდა ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განავითაროს ყოველმხრივი ურთიერთობა და მეგობრული თანამშრომლობა დაამყაროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

არსებითად, სწორედ ამით მინდოდა დამეთავრებინა ჩემი სიტყვა. მაგრამ ჩემზე წინ გამოსული ორატორები შეეხნენ ზოგიერთ საკითხს, რომელზეც არ შეიძლება არ ვუპასუხო (სიცილი, ტაში).

თქვენ მოგმართავთ, ბ-ნო მერო — ჩემო მასპინძელო. თქვენ თქვით, რომ ჩვენ გვინდა თქვენი დამარხვა. თქვენ მე და ჩემს ამხანაგებს კარგად გვიმასპინძლდებით, ამისათვის მადლობელი ვართ, მაგრამ მე სიმართლეს მაინც გეტყვით. თქვენში ასე იციან (ტაში)!

მინდა გკითხოთ: რატომ უბრუნდებით იმას, რაც მე განვმარტე ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ პირველ გამოსვლებში? ალბათ მერებიც კითხულობენ პრესას (დარბაზში ხარხარია, ტაში). ყოველ შემთხვევაში ჩვენში საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები აუცილებლად კითხულობენ გაზეთებს. თუ ისინი პრესას არ კითხულობენ, შეიძლება შემდეგ არჩევნებში აღარ აირჩიონ (სიცილი, ტაში).

ქალბატონებო! ბატონებო! ზოგი ვინმე, როგორც ჩანს, ცდილობს კვლავ იაროს „ცივი ომის" და გამალებული შეიარაღების ეტლით. თუ ისინი არ მოისურვებენ ამ ეტლიდან გადმოსვლას და ისხდებიან იქ, — სადამდე მიიყვანს მათ ეს ეტლი? თუ ასეთ ადამიანებს სურთ გამალებული შეიარაღება და ომები, მაშინ ისხდნენ ამ ეტლში. მაშინ ყველასათვის ცხადი იქნება, რომ შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე განიარაღებაზე, პირიქით, გამალებული შეიარაღება გაძლიერდება. თუ თქვენ მზად არა ხართ განიარაღებისათვის და გსურთ კვლავ განაგრძოთ გამალებული შეიარაღება, ჩვენ არ გვრჩება სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ განვაგრძოთ რაკეტების წარმოება, რომლებსაც ჩვენ კონვეიერით ვუშვებთ.

ბატონებო! სერიოზულად იფიქრეთ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას. მოგეხსენებათ, რომ მე ჩამოვედი აქ კეთილი განზრახვებით, ზოგ ვინმეს კი თქვენში, ეტყობა, სურს თავი დააღწიოს საქმეს ხუმრობით. ვიმეორებ, საქმე ეხება მეტად სერიოზულ

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ნიუ-იორკი. 18 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის სახლი. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი, მისი მეუღლე ნ. პ. ხრუშჩოვა და პრეზიდენტის ქვრივი ელეონორა რუზველტი ფ. რუზველტის სახლში.

საკადესის ფოტოქრონიკა (სურათი მიღებულია საკადესის ფოტოტელეგრაფით).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

მეს — მშვიდობასა და ომს, ადამიანთა სიცოცხლესა და სიკვდილს. ჩვენ მეგობრობის ხელს გიწვდით. თუ არ გინდათ, პირდაპირ გვითხარით.

(ხმა დარბაზში: გვინდა).

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაშინ გონივრულად უნდა მივუდგეთ საკითხებს, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ. სიტყვებით თამაში არ შეიძლება. ჩვენ გვიკავია მეტად პასუხსაგები პოსტები, სიტყვებით თამაშს შეიძლება მოჰყვეს მეტად საგალალო შედეგები ჩვენი ხალხებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ქალბატონებო და ბატონებო! რამდენადაც თქვენს მერს, როგორც ჩანს, არ წუკითხავს, რაც მე ვილაპარაკე ვაშინგტონში, მინდა ერთხელ კიდევ განვმარტო ჩემი ნათქვამი სიტყვები.

მე უკვე ვთქვი: სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ „დავმარხავთ კაპიტალიზმს“, არ უნდა გაიგონ სიტყვასიტყვით, როგორც ესმის ეს უბრალო მესაფლავეებს, რომლებიც დადიან ნიჩბებით, თხრიან საფლავებს და მარხავენ მკვდრებს. მე მხედველობაში მქონდა ადამიანთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივები. კაპიტალიზმს გარდაუვალად შეცვლის სოციალიზმი. ჩვენი მოძღვრებით ასე იქნება, თქვენი მოძღვრებით — არა. რა არის სწორი, და რა არ არის სწორი — ამას ისტორია გადაწყვეტს. ვიმეორებ, ენაზე კოჭი გამიჩნდა ამ გამეორების გამო — თქვენ ცხოვრობთ კაპიტალიზმის პირობებში, ჩვენ კი ვიცხოვრებთ სოციალიზმის პირობებში და ავაშენებთ კომუნიზმს. ვისი წყობიერება იქნება უკეთესი, ის გაიმარჯვებს. არც ჩვენ დავმარხავთ, არც თქვენ დაგვმარხავთ. ბრძანდებოდეთ თქვენთვის, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. (ტაში).

ქალბატონებო და ბატონებო! თქვენმა პრეზიდენტმა მომიწვია სტუმრად იმისათვის კი არა, რომ ჩაის შევექცეთ ან თუნდაც კონიაკი გადავკრათ. მე მყავს პარტნიორები, რომლებთანაც ეს შემეძლო გამეკეთებინა შინ, თუ მომინდებოდა, ისე, რომ ათას კილომეტრზე არ მეფრინა. ასევე შეეძლო ექნა პრეზიდენტს თავის სახლში, უჩემოდ. ჩემთვის, რასაკვირველია, ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი არ გაიზიარებს კომუნისტების თვალსაზრისს ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესახებ, ვფიქრობ, რომ არც პრეზიდენტი ვარაუდობს, რომ კაპიტალიზმის მომდევარი გამხადოს. (გამოცოცხლება დარბაზში).

რატომ მომიწვია პრეზიდენტმა აიზენჰაუერმა შეერთებულ შტატებში? როგორც ჩანს, სიბრძნემ უკარნახა ყოველივე ეს ექნა იმისათვის, რომ გამოენახა კონტაქტი საბჭოთა კავშირთან და შეგვთანხმებოდა იმაზე, რომ ვიცხოვროთ მშვიდობით. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ პატივს არ სცემთ კომუნისტებს. მაგრამ ჩვენ მეზობლები ვართ. ჩვენ ერთმანეთისაგან გვყოფს წყნარი ოკეანე, მაგრამ იგი ამავე დროს აერთებს ჩვენს ქვეყნებს. ახლა საკითხი ასე დგას: იქნება თუ არა ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობა თუ ომი იქნება. მინდა გულახდილად გითხრათ — მე მეტად შეშფოთებული ვარ იმით, რომ ასე ჯიუტად, ასე შეგნებულად ამახინჯებს ჩემს აზრებს ზოგიერთი თქვენი მოღვაწე, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ „ცივი ომის“ მდგომარეობა.

აირჩიეთ, ერთად ვიაროთ მშვიდობისაკენ, თუ განვაგრძოთ „ცივი ომი“ და გამალებული შეიარაღება. მე აქ რაიმეს სათხოვნელად როდი ჩამოვსულვარ. ჩვენ თქვენზე არანაკლებ ძლიერი ვართ. უკვე ბევრჯერ გამოვედი შეერთებულ შტატებში და ჯერ არცერთხელ არ მიხმარია სიტყვა „იარაღი“, მით უფრო — „რაკეტა“. და თუ დღეს ეს ვთქვი, გაიგეთ, რომ სხვა გამოსავალი არა მქონდა.

შესაძლოა, ზოგ ვინმეს სურს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ჩამოვედით როგორც ღარიბი ნათესავები და გთხოვთ მშვიდობას, როგორც მოწყალებას. მაგრამ თქვენ სცდებით. მშვიდობა ესაჭიროება ყველა ხალხს. თუ შეიარაღებას სარგებლობა მოაქვს თქვენი მონოპოლიებისათვის, თუ ჩვენ წინადადებას გვაძლევენ ერთმანეთს შევეჯიბროთ არა მშვიდობიან ასპარეზზე, არამედ იარაღის წარმოებაში, ეს საშინელი მიმართულებაა! დაფიქრდით, სად მივყავართ ამას, და აირჩიეთ! საკითხი ასე დგას: ან პრეზიდენტ აიზენჰაუერთან ჩვენი შეხვედრა გამოიწვევს დაძაბულობის შენელებას, „ცივი ომის“ ლიკვიდაციას, ანდა ჩვენ დავშორდებით ერთმანეთს ისე, რომ ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგებს.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტია ჩვენი ქვეყნების მთელ ისტორიაში. და მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცხოვრობდით. თუ თქვენ არ იღებთ მშვიდობისათვის ბრძოლის, ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა თვის ბრძოლის ჩვენს იდეას, იქნებ მაშინ შინ წავიდეთ და დაე მაშინ ყველამ იცოდეს, საქმით ვის სურს მშვიდობა და მეგობრობა, და ვინ ეწინააღმდეგება ამას.

თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ კვლავაც იცხოვრებთ ისე, როგორც ცხოვრობდით. მაგრამ ხომ ყველასათვის ცხადია, რომ უმჯობესია მშვიდობით და მეგობრობით ცხოვრება, ვიდრე ერთმანეთისათვის რაკეტების დამიზნების პირობებში, უმჯობესია სუფთა ატმოსფეროში ცხოვრება, როცა შეგიძლია მშვიდობიანად იძინო, რაკი იცი, რომ მშვიდობა იქნება დღეს, ხვალ, იგი იქნება მუდმივი და მტკიცე. (ტაში).

ზოგჯერ, როდესაც ასეთ სიტყვებს ვისმენ, ასეთი აზრები მებადება: ამერიკის შეერთებულ შტატებში ხომ არავის უფიქრია ხრუშჩოვი მიიწვიოს და ისე „გახეხოს იგი“, ისე უჩვენოს ამერიკის შეერთებული შტატების ძალა და ძლიერება, რომ მან ოდნავ, ასე ვთქვათ, წამოიჩოქოს. თუ ეს ბატონები ასე ფიქრობენ, დიდად ცდებიან. ჩვენ შორს როდი გვიხდება შინ გაფრენა თქვენგან. თუ ჩვენ აქ დაახლოებით 12 საათს მოვფრინავდით, აქედან ალბათ 10 საათში გავფრინდებით? თქვენ როგორ ფიქრობთ, ამხანაგო ტუპოლევ?

ა. ა. ტუპოლევი: დიახ, ნიკიტა სერგის-ძევ, გავფრინდებით.

ნ. ს. ხრუშჩოვი: წარმოგიდგენთ — ეს არის ჩვენი ცნობილი კონსტრუქტორის აკადემიკოს ტუპოლევის ვაჟი.

ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო კეთილგონიერები ვიქნებით და საერთო ენას გამოვნახავთ. ჩვენ ყველანი მშვიდობას უნდა ვესწრაფოდეთ. ახლა მსურს ვუპასუხო ბ-ნ ლოჯს მის წინადადებაზე წიგნების გაცვლის შესახებ. დღეს, როცა თვითმფრინავით მოვფრინავდით და აზრებს ვუზიარებდით ერთმანეთს, მან წამოაყენა ჩვენი სახელმწიფოების ისტორიის წიგნების გაცვლის იდეა.

ამაზე შემიძლია ვთქვა: მოდით სახეს ნუ დავიფარავთ. თქვენ კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლები ხართ, ჩვენ — სოციალისტური სამყაროს წარმომადგენლები. ამიტომ არა ყოველი ჩვენი ლიტერატურა გამოსადეგია თქვენთვის ისევე, როგორც არა ყოველი თქვენი ლიტერატურა გამოსადეგია ჩვენთვის. მოდით ამაზე აშკარად ვილაპარაკოთ.

ჩვენ ვართ კულტურულ ფასეულობათა გაცვლის მომხრე, მაგრამ ისე, რომ ამ გაცვლასთან ერთად გავაუმჯობესოთ და არა გავაუარესოთ ურთიერთობა. უნდა ვიცავდეთ სწორ პრინციპს, როცა საქმე გვაქვს რომელიმე ჩვენს პარტნიორთან. და თუ თქვენ დღეს მას შეაჩერეთ ცუდი საქონელი, შემდეგ თქვენთან იგი ამ საქონელს აღარ იყიდის. ჩვენ ასეთი წესის მომხრე ვართ: თქვენ მოგვაწოდებთ თქვენს საქონელს, ჩვენ კი ავირჩევთ და რაც საჭიროა ვიყიდით. ჩვენი მხრივ თქვენ მოგაწოდებთ, რაც მოგეწონებათ — იყიდეთ. არ მოგეწონოთ — ნუ იყიდით! (სიცილი, ტაში).

ჩვენში უკრაინაში არის ასეთი ხალხური ძმულება (აქ ალბათ არიან უკრაინელებიც): „ხომ ნახეთ რასაც ყიდულობდით, ახლა ხეთქეთ“. (სიცილი).

მაგრამ ვეთანხმები ბ-ნ ლოჯის წინადადებას. მხოლოდ, როგორც ჩანს, თუ თქვენს ისტორიას დაწერთ და ამ ისტორიაში სტრიქონებს შუა პროპაგანდას გაუწევთ თქვენს იდეოლოგიას, გაითვალისწინეთ, რომ ჩვენში რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები —საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი წიგნიერი გახდა, ისინი კარგად ერკვევიან და თქვენს ასეთ წიგნებს არ წაიკითხავენ. ჩვენი ხალხი მხოლოდ იმას იყიდის, რაც მას გამოადგება, ხოლო გავყიდით იმას, რაც თქვენ გამოგადგებათ. ჩვენ გვსურს ვიყოთ კარგი პარტნიორები კულტურული საქონლის გაცვლაში. (ტაში).

ეს ბატონ ლოჯის აზრის საწინააღმდეგო როდია. ვიმეორებ, ვეთანხმები მის წინადადებას, მხოლოდ ვლაპარაკობ იმაზე, თუ რა პირობით შეიძლება დაიდოს ასეთი გარიგება ჩვენთან, რომ თქვენ შემდეგ არა თქვათ, ხრუშჩოვმა მოისმინა, თანახმა იყო, ხოლო შემდეგ ჩვენს საქონელს არ იღებსო. თუ საქონელი კარგი იქნა — მივიღებთ, თუ კარგი არ იქნა — არ მივიღებთ. (გამოცოცხლება, ტაში).

გმადლობთ ყურადღებისათვის, გისურვებთ საუკეთესო წარმატებას და ბედნიერებას თქვენს ცხოვრებაში. (მჭუხარე ტაში).

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

ნიუ-იორკის აეროდრომზე ლოს-ანჟელოსში გაფრენის წინ 1959 წლის 19 სექტემბერს

პატივცემულო ბატონებო, ქალაქის მერის ბატონ ვაგნერის თავაზიანი მოწვევით ჩვენ ჩამოვედით ნიუ-იორკში და ორი დღე გავატარეთ აქ. და თუმცა ეს ვადა მცირეა, მაგრამ ჩვენთვის დიდად სასიამოვნო იყო თუნდაც ზოგადად გავცნობოდით თქვენს ქალაქს, შევხვედროდით ქალაქის მცხოვრებლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებს. შეიძლება ითქვას, რომ მეც, ასე თუ ისე, ჩვენი ქვეყნის საქმიანი სამყაროს წარმომადგენელი ვარ, იმიტომ, რომ ჩვენი სოციალისტური სისტემის დროს საბჭოთა კავშირის მთავრობა ხელმძღვანელობს სახელმწიფოს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ ცხოვრებასაც.

მე დავრწმუნდი, რომ თქვენი ქალაქის ოფიციალური პირების, საქმიანი ადამიანების და განსაკუთრებით უბრალო მშრომელ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა დიდი სიმპათიით გვეყურობოდა ჩვენ, სხვა, სოციალისტური სამყაროს წარმომადგენლებს. მე ყოფილი მუშა-მეშახტე ვარ და ყველაზე უკეთ, ისე როგორც თევზი წყალში, ვგრძნობ თავს მუშა ადამიანთა შორის. სამწუხაროდ, თქვენს ქალაქში მე ვერ შევხვდი რიგითს ადამიანებს, მუშებს, რომელნიც არიან ქალაქის ცხოვრების საფუძველი, ქალაქის სიმდიდრის მწარმოებელნი. ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ ქალაქის ხელისუფლებს სურდათ ხელი შეეშალათ ასეთი შეხვედრისათვის. მათ აგვიხსნეს, რომ ეშინიათ ერთი მუჭა ხულიგნების პროვოკაციული მოქმედებისა, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ ასეთი შეხვედრა, რათა მოაწყონ რაღაც პროვოკაცია, თუმცა, რასაკვირველია, ეს ელემენტები წვეთს შეადგენენ ზღვაში ნიუ-იორკის მეგობრულად განწყობილ მოსახლეობაში. ნიუ-იორკის მცხოვრებლები მასობრივად გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში და მეგობრულად გვესალმებოდნენ. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ მათი.

როგორც ეტყობა, ჩვენი მოგზაურობა თქვენს ქვეყანაში და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის საპასუხო ვიზიტი საბჭოთა კავშირში, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გაფართოების დასაწყისად იქნება. მადლობელი ვართ პრეზიდენტისა მისი თავაზიანი მოწვევისათვის და, ჩვენც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ღირსეულად შეეხვედეთ მას ჩვენს ქვეყანაში.

მინდა მადლობა გადავუხადო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ჰამარშელდს, რომელმაც მიმიწვია წარმომეთქვა სიტყვა გენერალური ასამბლეის სესიაზე და გუშინ საღამოს გამართა საღილი, სადაც შევხვდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებს.

მადლობას ვუძღვნი აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დელეგატებს იმ ყურადღებისათვის, რომლითაც მათ მოისმინეს ჩემი სიტყვა სესიაზე. ამ სიტყვაში მე საბჭოთა მთავრობის სახელით შევიტანე ძალიან დიდმნიშვნელოვანი წინადადება ნი განიარაღების პრობლემის შესახებ. თუ ამ წინადადებებს მხარს დაუჭერენ სხვა სახელმწიფოთა მთავრობები, ეს იქნება ახალი ერას დასაწყისი საერთაშორისო ურთიერთობაში და საფუძველს ჩაუყრის ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობასა და თანამშრომლობას.

პირობას გაძლევთ თქვენ, რომ საბჭოთა მთავრობა და პირადად მე ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ მშვიდობა და მეგობრობა ხალხთა შორის.

ვტოვებ რა თქვენს ქალაქს, მინდა სალამი გადავცე ნიუ-იორკის მცხოვრებლებს და ბედნიერება და კეთილდღეობა ვუსურვო მათ.

ნახვამდის, ბატონებო!

ნ. ს. ხრუშჩოვი ლოს-ანჟელოსში

ლოს-ანჟელოსი, 19 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ლოს-ანჟელოსში ჩამოვიდნენ.

რეაქტიული თვითმფრინავი „ბოინგ-707“, რომელშიც ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ, დღეს დილით აფრინდა ნიუ-იორკის საერთაშორისო აეროდრომიდან და კურსი აიღო დასავლეთისაკენ. მან გაიარა ნიუ-იორკის, ოჰაიოს ჩრდილოეთი სამრეწველო შტატები, შემდეგ შეერთებული შტატების ცენტრალური ნაწილის სასოფლო-სამეურნეო რაიონები. რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ თვითმფრინავმა გადაუარა კლდოვან მთებს და ბოლოს მიაღწია კალიფორნიის მზიან ხეობებს. 12 საათსა და 09 წუთზე ადგილობრივი დროით, რომელიც აქ 10 საათით ჩამორჩება მოსკოვის დროს, თვითმფრინავი ჩამოვიდა ლოს-ანჟელოსში — შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროს სამრეწველო და კულტურულ ცენტრში.

ლოს-ანჟელოსის მცხოვრებთა სახელით საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს გულთბილად მიეგება ქალაქის მერი პოულსონი. მისალმების პასუხად ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ იგი მოხარულია, რომ ჩამოვიდა ქალაქ ლოს-ანჟელოსში.

ლოს-ანჟელოსი, 19 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). ლოს-ანჟელოსს ჩასვლის შემდეგ საბჭოთა სტუმრები აეროდრომიდან მანქანებით პირდაპირ გაემგზავრნენ კინოკომპანიის „ტვენტის სენჩური ფოქსის“ სტუდიაში. აქ გაიმართა საუზმე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი მეუღლის ნ. პ. ხრუშჩოვას პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, სსრ კავშირის ელჩი მ. ა. მენშიკოვი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, მწერალი მ. ა. შოლოხოვი და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები სხვა პირნი.

ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ლოჯი, სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების უფროსი უ. ბიუკენენი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლ. ტომპსონი, ქალაქ ბევერლის მერი ჰილს დ. დევისი, კინოკომპანია „ტვენტის სენჩური ფოქსის“ პრეზიდენტი ს. სკურასი, კინემატოგრაფიის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი ერიკ ჯონსტონი, კინოსტუდიის წარმომადგენლები, თვალსაჩინო ამერიკელი კინომსახიობები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საუზმის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს ს. სკურასმა და გ. ლოჯმა. სიტყვა მიეცა ნ. ს. ხრუშჩოვს. ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო, გონებამახვილი და შინაარსიანი სიტყვის დროს არა ერთხელ გაისმა დამსწრეთა მჭუხარეტაში.

შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ კინოკომპანია „ტვენტის სენჩური ფოქსის“ სტუდიაში კინოსურათის გადაღებას. კინომსახიობები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს. მსახიობმა ქალმა შერლი მაკლეინმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ნიკიტა სერგის-ძეს რუსულ ენაზე: „კეთილი იყოს თქვენ მობრძანება ჰოლივუდში. ჩვენ ძალიან მოგვწონს, როცა თქვენი დიდი მსახიობები ჩამოდიან აქ. იმედი მაქვს, რომ თქვენ აქ მოგეწონებათ, როგორც ჩვენ მოგვეწონა საბჭოთა მსახიობები“.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად გამოეთხოვა კინომრეწველებს, მსახიობებსა და ტექნიკურ პერსონალს და დატოვა სტუდია. ავტომანქანებისაკენ მიმავალი ნ. ს. ხრუშჩოვი რამდენჯერმე გაჩერდა და მხიარულად ხუმრობდა, გამომშვიდობებისას ხელს რომ არ თმევდა მასპინძლებს.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ავტომობილებით გაისეირნეს ლოს-ანჟელოსში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ სან-ფერნანდოში— ლოს-ანჟელოსის საგარეუბნო რაიონში. იმის ამბავი, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი მიემგზავრება სან-ფერნანდოში, სწრაფად გავრცელდა მცხოვრებთა შორის, რომელნიც იჩქაროდნენ მისალმებოდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ქალაქში მოგზაურობის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი მივიდნენ სასტუმრო „ამბასადორში“, სადაც იქნება ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენცია მის ტოლოს-ანჟელოსში ყოფნის დროს. სასტუმროს ახლოს ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმა ამერიკელთა დიდი ჯგუფი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვა წარმოთქვა სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა ტაუნ ჰოლის ორგანიზაციამ და ლოს-ანჟელოსის საერთაშორისო საქმეთა ასოციაციამ.

სადილზე იყო კალიფორნიის საქმიანი წრეებისა და ინტელიგენციის 1100-ზე მეტი წარმომადგენელი. ქალაქის მერის ნ. პოულსონისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის გ. ლოჯის მოკლე შესავალი სიტყვების შემდეგ თავმჯდომარემ ლოს-ანჟელოსის საერთაშორისო საქმეთა ასოციაციის პრეზიდენტმა რ. მინკლერმა სიტყვა მისცა ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

სან-ფრანცისკოში გამგზავრება

სან-ლუის-ობისპო, 20 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). მატარებელი, რომლითაც ნ. ს. ხრუშჩოვი მგზავრობს ლოს-ანჟელოსიდან სან-ფრანცისკომდე, მიდის წყნარი ოკეანის სანაპიროს გაყოლებით. მოჩანს კალიფორნიის ბაღები, მინდვრები, ქარხნები, ნავთობსარეწები, პატარა ქალაქები, ყველგან რკინიგზაზე გამოსულან ადამიანთა ჯგუფები, რათა თუნდაც შორიდან მიესალმონ საბჭოთა მთავრობის მეთაურს. ზოგიერთი პლაკატებით მოსულა. გლენდეილის სადგურზე მატარებელს შეხვდა ადამიანთა დიდი ჯგუფი პლაკატით „ჩვენ მოგვწონს ხრუშჩოვი“. ახალგაზრდათა ჯგუფი მოვიდა პლაკატით „მშვიდობა!“.

გულითადი შეხვედრა მოუწყეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს სანტა-ბარბარის მცხოვრებლებმა, სადაც სპეციალური მატარებელი რამდენიმე წუთით გაჩერდა. ქალაქის ათასობით მცხოვრები შეიკრიბა ვაგზლის მოედანზე. ტაშითა და მისალმების შეძახილებით ხვდებიან ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც გამოვიდა ვაგონიდან, რათა მისალმებოდა ქალაქის მცხოვრებლებს. ამერიკელები მხურვალედ უსურვებენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს წარმატებას მის სამშვიდობო მისიაში. გაისმის შეძახილები: „განაგრძეთ კეთილი საქმე“! ნიკიტა სერგის-ძემ სანტა-ბარბარის მცხოვრებლებს უსურვა წარმატებანი მათს საქმიანობაში, უსურვა ბედნიერება და მშვიდობა.

სან-ფრანცისკო, 20 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს 18 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით (21 სექტემბრის 4 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სან-ფრანცისკოში ჩამოვიდა.

საკადესის ცნობა

მთვარეზე კოსმოსური რაკეტის გაშვების პირველი შედეგების შესახებ

საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ, რომელიც გაშვებული იქნა 1959 წლის 12 სექტემბერს, მთვარის ზედაპირს მიაღწია 14 სექტემბერს 00 საათზე 02 წუთზე 24 წამზე მოსკოვის დროით.

საბჭოთა კოსმოსური მრავალსაფეხურიანი რაკეტის ფრენა მთვარისაკენ მიმდინარეობდა ზუსტად დასახული გაანგარიშებული ტრაექტორიით. რაკეტის ყველა სისტემა, აგრეგატი და ელემენტი ფრენის დროს ნორმალურად მუშაობდა.

რაკეტაზე დადგმულმა რადიოტექნიკურმა საშუალებებმა უზრუნველყვეს მისი ფრენისათვის საიმედო თვალყურისდევნება დედამიწიდან, დაწყებული სტარტით მანამდე, სანამ კონტეინერი მეცნიერული აპარატით მიაღწევდა მთვარის ზედაპირს.

დედამიწის ავტომატური საზომი კომპლექსის წარმატებით მუშაობამ საშუალება მოგვცა განუწყვეტლივ გავეგოთ კონტროლი იმისათვის, თუ ფრენის ნამდვილი ტრაექტორია რამდენად შეესაბამებოდა გაანგარიშებულ მონაცემებს, გაგვეკეთებინა მთვარეზე მოხვედრის სარწმუნო პროგნოზი და განგვესაზღვრა მოხვედრის რაიონი.

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მოძრაობის ნამდვილი ტრაექტორიის ანალიზი ყველა სახეობის გაზომვისა და დამზერის რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე საშუალებას გვაძლევს ამჟამად მოვახდინოთ მეცნიერულ და საზომ აპარატურიანი კონტეინერისა და რაკეტის უკანასკნელი საფეხურის დაცემის რაიონის პირველი დაზუსტება. თვალყურის დევნების მონაცემთა დამუშავება გვიჩვენებს, რომ მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის კონტეინერი დაეშვა მთვარის ზედაპირზე „მოწმენდილობის ზღვის“ აღმოსავლეთით არისტარხის კრატერის, არქიმედის კრატერისა და ავტოლიკის კრატერის მახლობლად. მთვარის ზედაპირთან კონტეინერის შეხვედრის პუნქტის სელენოგრაფიული განედი, მიღებული მონაცემებით, უდრის პლუს 30 გრადუსს, ხოლო სელენოგრაფიული გრძედი უდრის ნოლს. ხელსაწყოს კონტეინერის მთვარეზე დაშვების პუნქტის გადახრა მთვარის ხილული დისკოს ცენტრიდან დაახლოებით 800 კილომეტრს უდრის.

მთვარესთან კონტეინერის შეხვედრის მომენტში მისი ტრაექტორია დახრილი იყო მთვარის ზედაპირისაკენ 60 გრადუსი კუთხით. ამასთან კონტეინერის სიჩქარე მთვარესთან შედარებით შეადგენდა 3,3 კილომეტრს წამში.

მიღებული მონაცემების დამუშავება ადასტურებს, რომ კოსმოსური რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმაც მიაღწია მთვარის ზედაპირს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მთვარისაკენ ფრენის დროს წარმოებული უნდა ყოფილიყო: დედამიწის მაგნიტური ველისა და მთვარის მაგნიტური ველის გამოკვლევა, დედამიწის გარშემო რადიაციის სარტყელთა გამოკვლევა, კოსმოსური გამოსხივებისა ინტენსივობის გამოკვლევა, კოსმოსურ გამოსხივებაში მძიმე ბირთვების გამოკვლევა, პლანეტთაშორისი ნივთიერების აირის კომპონენტის გამოკვლევა, მეტეორული ნაწილაკების შესწავლა.

წარმოებული კვლევის შედეგად მიღებული მასალების განხილვამ დაადასტურა, რომ კონტეინერზე დადგმული მეცნიერული და ტელემეტრიული აპარატურა ნორმალურად მოქმედებდა.

განხორციელებულია ტელეგაზომვათა მასალების პირველადი გაშიფრვა.

მიღებული წინასწარი მონაცემები საშუალებას იძლევიან უკვე ამჟამად დავადგინოთ შემდეგი:

— მაგნიტური ველი მთვარის ახლოს, მაგნიმეტრის ჩანაწერთა მონაცემებით, მისი მგრძნობიარობისა და სადევიაციო ცდომილების ფარგლებში (დაახლოებით 60 გამისა), — არ არის აღმოჩენილი.

— მთვარის ახლოს რადიაციის ინტენსიურობის გაზომვებმა ვერ აღმოაჩინა დამუხტულ ნაწილაკთა რადიაციის სარტყელი. ეს ფაქტი ეთანხმება მაგნიტურ გაზომვათა შედეგებს;

— კოსმოსურ სივრცეში რაკეტის ფრენის გზაზე წარმოებული იქნა კოსმოსური გამოსხივების საერთო ნაკადის, ჰელიუმის ატომგულთა (ალფა-ნაწილაკების) ნაკადის, ნახშირბადის, აზოტის, ჟანგბადის ატომგულთა და კოსმოსური სხივების შემადგენლობაში შემავალ უფრო მძიმე ატომგულთა ნაკადების გაზომვა;

— მიღებულია დამატებითი მონაცემები რენდგენის სხივების, გამა-სხივების, დიდ და მცირე ენერგიათა ელექტრონებისა და მაღალ ენერგიათა ნაწილაკების შესახებ;

— წარმოებულია გაზომვები დედამიწის რადიაციის სარტყლის ფარგლებში;

— წარმოებულია იონიზებული აირის ნაწილაკების მიერ შექმნილ იმ დენთა რეგისტრაცია, რომლებიც გარემოდან გვხვდებოდნენ კონტეინერზე დადგმულ დადებითად დამუხტულ ნაწილაკთა სპერში. რეგისტრირებულ დენთა ზომა იცვლება რაკეტის ფრენის გზაზე; წინასწარი შეფასებანი გვიჩვენებენ, რომ დედამიწასა და მთვარეს შორის არის ადგილები, სადაც იონიზებულ ნაწილაკთა კონცენტრაცია უფრო ნაკლებია, ვიდრე ახი ნაწილაკისა კუბურ სანტიმეტრში. მთვარესთან დაახლოებით ათი ათას კილომეტრ მანძილზე მიახლოებისას რეგისტრირებული დენები იზრდება. ეს შეიძლება აიხსნას ან იმით, რომ მთვარის გარშემო არსებობს იონიზებული გაზების გარსი — თავისებური მთვარის იონოსფერო, ან იმით, რომ მთვარის გარშემო არის კორპუსკულების გადიდებული კონცენტრაციის არე, რომელთა ენერგიები დაახლოებით ათობით ვოლტს უდრის;

— მიღებულია ახალი მონაცემები მიკრომეტეორების შესახებ.

წარმოებს მიღებული მასალების შემდეგი დამუშავება და ანალიზი.

ამ მუშაობის დამთავრების კვალობაზე წარმოებული კვლევის შედეგები გამოქვეყნდება.

* * *

მრავალსაფეხურიანი კოსმოსური რაკეტის, ძრავების, ფრენის მართვის სისტემისა და იმ მიწისზედა საშუალებათა კომპლექსის შექმნა, რომელმაც უზრუნველყოფს რაკეტის ზუსტი სტარტი და უაღრესად ზუსტი სვლა მთვარისაკენ, აგრეთვე რაკეტის ფრენისათვის საიმედო კონტროლის გაწევა მთვარესთან შეხვედრის მომენტამდე, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი წარმატებაა.

მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება, მეცნიერული კვლევის განხორციელებული კომპლექსი და მთვარის ზედაპირის მიღწევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსოფლიო მეცნიერებაში, ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისების საქმეში.

მოდით განვიარაღდეთ!

—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმულ ამ მოწოდებას მხარს უჭერენ ყველა ქვეყნის ხალხები

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. საქდესის კორესპონდენტი ვ. კოლოკოლნიკოვი იუწყება:

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი განიარაღების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა თავის სიტყვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე, მოჰყავს ამერიკის პრესას ვეებერთელა სათაურებით გაზეთების პირველ გვერდზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებს ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებიათ ცნობები იმის შესახებ, თუ რა პოზიციის დაკავებას აპირებს სახელმწიფო დეპარტამენტი საბჭოთა ახალი წინადადებების მიმართ. მაგრამ დეპეშათა სააგენტოები ზედიზედ გადმოგვცემენ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადებებს, რომელთა ძირითადი შინაარსი იმით ამოიწურება, რომ საბჭოთა წინადადებებს დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

ედლაი სტივენსონმა განაცხადა: „ბ-ნ ხრუშჩოვის წინადადებებს მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. ომის საფრთხის შემცირების ერთადერთი გზა არის მისი წარმოების საშუალებათა შემცირება. ბ-ნმა ხრუშჩოვმა სწორედ ის წინადადება შემოიტანა, რაც ყველა ჩვენგანს ძალიან სურს, — მსოფლიო უიარაღოდ".

იმ აზრს, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებანი შეიძლება კარგი საფუძველი გახდეს მოლაპარაკებისათვის, გამოთქვამენ ამერიკის კონგრესის წევრებიც. ბევრ მათგანს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მთელი სერიოზულობით უნდა განიხილოს საბჭოთა წინადადებანი მისი მომავალი საუბრების დროს ნ. ს. ხრუშჩოვთან.

„ვფიქრობ, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ სემ რეინბერნმა, — რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერისათვის ისინი (ეს წინადადებანი. — რედ.) მოლაპარაკების მშვენიერი საფუძველი შეიძლება გახდეს".

სენატორებმა ჰემფრიმ, მენსფილდმა და სხვებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ საბჭოთა წინადადებანი არ უნდა უარვყოთ როგორც „პროპაგანდისტული ფანდი" (როგორც მათ უწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი ყველაზე რეაქციული გაზეთი). იმასთან ერთად, რომ ზოგიერთი წრე ისწრაფვის მიაღწიოს დაძაბულობის ნამდვილ შენელებას, შეერთებულ შტატებში ვხედავთ იმ ძალების შეუპოვარ აქტივობას, რომლებისთვისაც დაძაბულობის ყოველგვარო შენელება მოასწავებს სამხედრო შეკვეთებისა და, მაშასადამე, მოგების შემცირებას. სწორედ ეს წრეები ცდილობენ გაიტანონ მათთვის დაქვემდებარებული პრესის ფურცლებზე ის თეზისები, რომლებიც იმით ამოიწურება, რომ საბჭოთა წინადადებანი მხოლოდ და მხოლოდ „პროპაგანდაა", რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს „მოატყუოს" შეერთებული შტატები, განაიარაღოს ისინი, მაშინ როცა თვითონ შეიარაღდებათ. ისინი არა მარტო სრული განიარაღების წინააღმდეგი არიან, არამედ იმ ნაწილობრივ ღონისძიებათა წინააღმდეგნიც არიან ამ დარგში, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა იმ შემთხვევისათვის, თუ დასავლეთის სახელმწიფოები ამ მომენტში არ აღმოჩნდებიან მზად საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის.

„ნიუ-იორკ ტაიმსი", მაგალითად, თავის ერთ-ერთ სტატიაში აცხადებს, რომ ეს ნაწილობრივი ღონისძიებანი „მიუღებელია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის," რადგან ითვალისწინებენ; „ამერიკის ჯარების გამოყვანას დასავლეთ ევროპიდან ან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიაზე".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ამერიკის ბირჟაზე კვლავ დაეცა იარაღის მწარმოებელი კომპანიების აქციათა კურსი და ამ მოვლენას უკავშირებს საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ, წინადადებებს, რომლებმაც, გაზეთის აზრით, განამტკიცეს შიში, რომელიც განუწყვეტლივ სდევნის უოლ-სტრიტს იმ მომენტიდან, როცა ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ დაგეგმვის სტადიაში იყო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 19 სექტემბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა პირველი განცხადებანი მოწმობენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე და გენერალური ასამბლეის განსახილველად მის მიერ შეტანილ დეკლარაციას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეხვდა, როგორც გაბედულ და კონსტრუქციულ ნაბიჯს, რომლის მიზანია კაცობრიობის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, ხაზს უსვამს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) თავმჯდომარე ა. ბახი, განიცადა ნამდვილად ისტორიული საათები. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გაბედულ წინადადებაში განასახიერა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფება და იმედი.

ადნის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ა. ბახი მიესალმა საბჭოთა მთავრობის მეთაურის წინადადებებს. მან აღნიშნა, რომ ამ წინადადებებს კოლოსალური მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობის მომავლისათვის. საბჭოთა წინადადებების განხორციელება უდიდეს სარგებლობას მოუტანს ყველა ადამიანს, განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიდი ბერლინის საოლქო ორგანიზაციის მდივანმა ე. ზელბმანმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, აღნიშნა მაგდებურგის სამედიცინო აკადემიის დირექტორმა პროფესორმა გ. ბრაუნმა, თავისი წინადადებანი რომ შეიტანა განიარაღების შესახებ, ჩამოაყალიბა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას ყველა ხალხისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე არის აგრეთვე ბერლინის დემოკრატიული გაზეთების ყურადღების ცენტრში. გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვისა და საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ დეკლარაციის შინაარსს. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას ახასიათებს როგორც ისტორიულს, და ხაზს უსვამს, რომ გენერალური ასამბლეის სესიის მონაწილეთა წინაშე ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის გაბედული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო და სრულ განიარაღებას. 82 ერის წარმომადგენელნი მიესალმნენ საბჭოთა წინადადებას მქუხარე ტაშით, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი".

საჭიროა საყოველთაო და სრული განიარაღება, ხაზს უსვამს „ბერლინერ ცაიტუნგი". იგი აღმოფხვრის ყველა დაბრკოლებას, რომლებიც შეიქმნა ნაწილობრივი განიარაღების საკითხის განხილვის დროს. საბჭოთა კავშირის ამ წინადადებათა არსი ის არის, რომ ოთხი წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფო სავსებით განიარაღდეს და არ ჰქონდეთ საშუალებანი ომის საწარმოებლად.

როგორც გაზეთი „ნოიე ცაიტი" აღნიშნავს, ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად შეიტანა წინადადებანი, რომლებმაც შეუძლებელი უნდა გახადონ ომი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი არაერთხელ გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსადგურებმა.

საფრანგეთი

პარიზი, 19 სექტემბერი. (საქდესი). „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხრუშჩოვმა წამოაყენა საყოველთაო განიარაღების პროგრამა, — იუწყებიან დიდრონი სათაურებით პარიზის გაზეთები. გაზეთი „კომბა" ამ პროგრამას უწოდებს „კონკრეტულ და კონსტრუქციულ წინადადებას, რომლის მიზანია სამუდამოდ შეუძლებელი გახადოს ომი". გაზეთი გადმოგვცემს საბჭოთა მთავრობის წინადადებათა შინაარსს და აღნიშნავს, რომ ეს წინადადებანი შეიძლება გახდნენ დისკუსიის საფუძველი და რომ სწორედ განიარაღების საკითხზე მოლაპარაკება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შორის შეიძლება ყველაზე ნაყოფიერი გახდეს.

გაზეთ „ლიბერასიონის" მიმომხილველი ჟან-მორის ერმანი წერს: „ეს გეგმა შეიცავს დიდმნიშვნელოვან სიახლეს — გადადგმულია ახალი ნაბიჯი დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებისაკენ რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ნაცვლად იმისა, რომ მოითხოვოს ჯერ ატომური განიარაღება, რაზეც დასავლეთი უარს ამბობდა, იმიზეზებდა რა სსრ კავშირის უპირატესობას ჩვეულებრივი სახელეთო შეიარაღების დარგში, ხრუშჩოვი მზად არის დათანხმდეს, რომ ჯერ შეამცირონ, ხოლო შემდეგ გააუქმონ შეიარაღებული ძალები. ამასთან ატომური იარაღი, რაკეტები და სამხედრო თვითმფრინავები გაქრება მხოლოდ უკანასკნელ ეტაპზე. ეს რეალისტური იდეაა".

ერმანი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობამ წარადგინა აგრეთვე ნაწილობრივი ღონისძიებანი იმ შემთხვევისათვის, თუ დიდი სახელმწიფოები ამა თუ იმ მიზეზის გამო არ მოისურვებენ მაშინვე დაადგნენ საყოველთაო განიარაღების გზას. „ამ ღონისძიებათა განხორციელება, — წერს იგი, — უდიდესი პროგრესის მომასწავებელი იქნება ახლანდელ გამალებულ შეიარაღებასთან შედარებით და დასაბამს მისცემს მობრუნებას, გზას გაუხსნის უფრო ზოგად ღონისძიებებს".

გაზეთ „ლუმანიტეს" დაწვრილებით მოჰყავს ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარსი. ამ გაზეთის კორესპონდენტი პიერ კურტადი იუწყება, რომ, მიუხედავად „ცივი ომის" მომხრეთა მეცადინეობისა, ამერიკელთა უდიდესი უმრავლესობა ამიერიდან მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირს მშვიდობა სურს.

მემარჯვენეთა ორგანოები აგრეთვე დიდ ყურადღებას უთმობენ განიარაღების გეგმას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წარადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში. მაგრამ ისინი ცდილობენ შეანელონ საბჭოთა კავშირის ახალ კონსტრუქციულ წინადადებათა მიმზიდველი ძალა და წინასწარ აცხადებენ ამ წინადადებებს „არარეალისტურად" და „პროპაგანდისტულად".

ინდონეზია

ჯაკარტა, 19 სექტემბერი. (საქდესი). ანტარის სააგენტო იუწყება: ინდონეზიის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს წინადადებას განიარაღების შესახებ, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა პარასესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხარსონომ დღეს განაცხადა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას მართული ყუმბარების წარმოების აკრძალვისა და მათი მარაგის მოსპობის შესახებ სავსებით დაუჭირა მხარი და მოიწონა ინდონეზიის მთავრობამ.

მან თქვა, რომ ხრუშჩოვის ეს წინადადება „ფრიად რევოლუციურია და მიმართულია იდეალის მისაღწევად".

ხარსონომ განაცხადა, რომ მთავრობა მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას ისევე, როგორც უნდა მივესალმოთ ყოველ მეცადინეობას ეფექტიანი განიარაღებისათვის.

შემდეგ მან ილაპარაკა პრეზიდენტ სუკარნოს წინანდელ გამოსვლებზე, რომლებშიც მან მოუწოდა დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც აქვთ ატომური იარაღი და დაკავშირებული არიან სამხედრო პაქტებით, განახორციელონ საყოველთაო განიარაღება და აღმოფხვრან ყველა სამხედრო კავშირი, რათა უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება მთელ მსოფლიოში.

სიღალე, სისწრაფე, გაწვრთნილობა...

ქართველი ცხენოსნები მოსკოვში

ამას წინათ მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე მოეწყო მეორე საკავშირო შეჯიბრება ცხენოსნობაში. აქ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ცხენოსნები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო ცხენოსანი სპორტსმენები.

ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 35 ცხენოსანმა. ქართველ მხედართა ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ კ. ნაჭყებია და გუნდის კაპიტანი, რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯი ს. დარასელია.

ამინდმაც შეუწყო ხელი ცხენოსნებს. 30 აგვისტოს თბილი, მზიანი დღე იყო მოსკოვში. ლენინგრადის ფართო პროსპექტზე ხალხის ყურადღება ცხენოსანთა კოლონამ მიიპყრო. ლამაზად მორთულ ცხენებზე ისხდნენ ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული მხედრები.

...კოლონამ მარცხნივ შეუხვია და ალაყაფის კარით იპოდრომის ფართო მოედანზე შევიდა. აქ ათეულ ათასობით მოსკოველს მოეყარა თავი. ამ მეტად საინტერესო სპორტის სიყვარულმა მოიყვანა ისინი აქ.

12 საათია. დაიწყო ცხენოსანთა პარადი. მოედანზე შემოდიან მოსირმულ უნაგირებზე მსუბუქად მჯდომი უზბეკები. მათ მოჰყვნენ ტაჯიკები, უკრაინელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, სომხები...

ხალხის ყურადღება მოხუცმა მხედრებმა, 95 წლის ბაძუ ქავთარაძემ და 85 წლის კიწი გეგეჭკორმა მიიპყრეს. ისინი ამაყად მიუძღვიან წინ ქართველ ცხენოსნებს და ახალგაზრდული თავმოწონებით, ცხენთა შეწყობილი სვლით მოჰყავთ გუნდი.

მოხუცთა გვერდით მოდიან თეთრ ჩოხებიანი მოსწავლეები გ. კეკუტია, ვ. კუჭუხიძე და პ. სირია. ისინი სულ რაღაც 10-12 წლისანი არიან, მაგრამ დახეთ რა მაგრად უჭირავთ სადავე. მაყურებელთა მთელი ყურადღება მიიპყრეს ქართველმა მოჯირითე ქალებმა ნანული მელქაძემ, ანგელინა ჩხიკვაძემ და ირინა შურღაიამ.

პარადმა ჩაიარა.

...იწყება ყველაზე საინტერესო ასპარეზობა — დოღი. დიქტორმა თბილისის სახელობის პრიზზე შეჯიბრის დაწყება გამოაცხადა. 15 ცხენოსანი ჩამწკრივდა სტარტზე — თითო რესპუბლიკიდან თითო ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას. ამ შეჯიბრებაში ქართველთა გუნდიდან მონაწილეობას იღებდა კუკური მელია. გუნდის კაპიტანმა გულდასმით ჩაათვალიერა ახალგაზრდა მხედარი, თითქოს გაუგო გულისთქმა — „მშობლიურ პრიზს არავის დავუთმობო", ცხენს სადავე მოუსინჯა, თვალი გააყოლა ადგილიდან ქორივით მომწყდარ ცხენოსანს, რომელიც მალე დაწინაურდა და მოწინავეობა ბოლომდე შეინარჩუნა. თბილისის სახელობის პრიზი ქართველმა ცხენოსანმა აიღო. ეს იყო ქართველი მხედრების პირველი გამარჯვება.

შეჯიბრება მდინარე სირ-დარიას სახელობის პრიზზე დაიწყო. ამჯერად ქართველ სპორტსმენთა გუნდიდან მონაწილეობის მიღება წილად ხვდა მოხევე ცხენოსანს ზურაბ ელოშვილს.

— ნება მომეცით ცხენს უნაგირი მოვხსნა, — მიმართა მან მწვრთნელს გ. ქიქავას. — უბელო ცხენზე უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს. ამის ნება არ დართო მწვრთნელმა. მხედრები ადგილიდან დაიძრნენ. რამდენიმე წუთი, და ზურაბ ელოშვილმა 60 მეტრით მოიტოვა მეტოქეები. ის პირველი მივიდა ფინიშთან და ცხენიდან მარდად გადმოხტა. მსაჯმა მას გამარჯვება მიულოცა.



ასპარეზზე 15 ნორჩი მხედარი გამოჩნდა. მათ პაწია ხელებს მოხდენილად უჭირავთ სადავეები და გულის ფანცქალით ელიან კომანდას. აი, პატარა არწივებმა დეზი ჰკრეს რაშებს, ნიავივით მოსწყდნენ ადგილს. ცოტა ხნის შემდეგ ცხენოსანთა ჯგუფს თეთრჩოხიანი მხედარი გამოეყო და საკმაოდ წინ გაიჭრა. ის ფინიშთან პირველი მივიდა. ნორჩმა მხედარმა ვ. კუჭუხიძემ „ნორჩი პიონერის" სახელობის ჯილდო აიღო.

ოთარ ხაინდრავაც არ ჩამორჩა ამხანაგებს. მან აფხაზეთის სახელობის პრიზის გათამაშებაში აიღო პირველი ადგილი.

დამთავრდა დოღი. ქართველმა ცხენოსნებმა 15 პრიზიდან 4 აიღეს.

...ფეხბურთი — მოედანზე უზარმაზარი ბურთი შემოაგორეს. მაყურებელთა მთელი ყურადღება ამ არაჩვეულებრივმა სანახაობამ მიიპყრო. შეჯიბრების მონაწილე ბევრმა გუნდმა უარი თქვა გასულიყო მოედანზე. ასპარეზზე ქართველი ფეხბურთელები სომხეთის მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგეს. ■

დაიწყო ცხენბურთი. ამჯერად უკვე აღარავინ აღმოჩნდა შეხვედრის მსურველი. თამაშმა დიდი ინტერესით ჩაიარა. ჟიურიმ სპორტის ამ სახეში ქართველ სპორტსმენებს პირველი ადგილი მიაკუთვნა. ცხენბურთში მონაწილეობდნენ ამ საქმის საუკეთესო ოსტატები: გ. ივანიძე, გ. დოლიძე, ვ. ბერძენიშვილი, ც. შურღაია და სხვები, სულ 7 ცხენოსანი.

საინტერესოდ ჩაიარა ისინდმაც, რომელშიც ქართველი მხედრები სამჯერ შეხვდნენ სომხეთის წარმომადგენლებს და სამჯერვე გამარჯვებული გამოვიდნენ.

შედარებით ხუსტი მომზადება უჩვენეს ქართველმა ცხენოსნებმა სიძნელეთა გადალახვაში. ასპარეზზე ორჯერ გამოვიდა სოხუმელი ცხენოსანი ნ. ვასინკოვი, რომელმაც მხოლოდ მეორე და მესამე ადგილი აიღო.

ცხენოსნობაში საკავშირო შეჯიბრების გახსნის წინ საქართველოს გუნდმა მოამზადა ძველი ქართული თამაში ცხენებით „რადი". სპორტის ეს სახე ნაკლებად ცნობილია თანამედროვე მაყურებლისათვის. ამიტომ იყო, რომ მოსკოველები უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ მას.

სურათზე თქვენ ხედავთ ცხენოსან გოგონას ნანული მელქაძეს. შეჯიბრების დამთავრებისას მან მონაწილეობა მიიღო შუა აზიის ხალხთა ეროვნულ თამაშში „დაეწიე გოგონას". თამაშის შინაარსი ასეთია: ცხენზე მჯდომ ქალს აედევნება სამი ან ოთხი მხედარი, ვინც შესძლებს დაეჭიროს ქალი, უფლება აქვს აკოცოს მას. თუ ვერ შესძლო დაჭერა, ქალი მათრახის ცემით „აჯილდოებს" მდევრებს. ამ თამაშის შესრულებისას ნანულიმ არაჩვეულებრივი ცხენოსნური ნიჭი და სიმარდე უჩვენა. სამი მხედარი — უზბეკეთის, რსფსრ-ისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები — უშედეგოდ ცდილობდნენ მის დაჭერას. მათ ვერ შეძლეს ქორივით გაფრენილი ქალიშვილის შეპყრობა, და ისინი ნანული მელქაძემ მათრახით „დააჯილდოვა". ეს არაჩვეულებრივი თამაში ნ. მელქაძემ მეტად საინტერესოდ ჩაატარა.

შეხვედრების დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. მ. ბუდიონიმ ქართველ ცხენოსნებს წარმატება მიულოცა.

საინტერესო თამაშობანი უჩვენეს ქართველმა ცხენოსნებმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის გამოსასვლელ მოედანზე. უცხოელი სტუმრები მოხიბლულნი დარჩნენ ქართველ ცხენოსანთა მიერ შესრულებული სპორტული თამაშობებით.

მეორე საკავშირო შეჯიბრება ცხენოსნობაში დამთავრდა. ყველა მონაწილე საქართველოდან დაჯილდოებულ იქნა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. გარდა ამისა, 93 კოლმეურნეობას და ცხენოსნების მწვრთნელს გადაეცა დიპლომები საუკეთესო ჯიშის ცხენების გამოყვანისათვის.

გ. ჯინჭარაძე.

• • •

სურათებზე: ზემოდან — ს. მ. ბუდიონი ქართველ ცხენოსანთა გუნდის უხუცეს წევრებს შორის; გამარჯვებული ცხენოსნები ნ. მელქაძე და ზ. ელოშვილი; ქართველ ცხენოსანთა ასპარეზობა ცხენბურთში.

ბუქარესტი 500 წლისაა

მდინარე დუნაისა და კარპატების მთებს შორის თითქმის შუა ადგილას გაშლილ დაბლობზე, ალვის ხეებში, ცაცხვებსა და ტირიფებში ჩაფლულა ქალაქი ბუქარესტი — დიდი, თანამედროვე, მჩქეფარე კულტურისა და მრეწველობის ცენტრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი.

ქალაქ ბუქარესტის მუზეუმში ინახება ჩარჩოში სათუთად ჩასმული ქაღალდი, რომელიც დროს ოდნავ გაუყვითლებია, მაგრამ მაინც ვერასოდეს ვერ იტყვით, რომ იგი 500 წლისაა! ხუთი საუკუნის წინათ, 1459 წლის 20 სექტემბერს, ვლახეთის მრისხანე თავადმა ვლადმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც პირველად იყო მოხსენებული მდინარე დიმბოვიცაზე მდებარე ციხესიმაგრე ბუქარესტი. სწორედ აქედან იწყება ქალაქის ისტორია და რუმინელი ხალხი დღეს დიდი ზეიმით აღნიშნავს საყვარელი დედაქალაქის 500 წლისთავს. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუმინელი მეცნიერების მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიდან დასტურდება, რომ ადგილები, სადაც ქალაქი ბუქარესტი დგას, გაცილებით უფრო ადრეც, საუკუნეთა სიღრმეში დასახლებული ტერიტორია ყოფილა.

თითქმის ყველა ქალაქს აქვს თავისი ლეგენდა. აქვს ლეგენდა ბუქარესტსაც. ამბობენ, რომ დიდი ხნის წინათ, მდინარე დიმბოვიცის ნაპირზე, უღრანი ტყის პირას დასახლდა მწყემსი სახელად ბუკური. ბუკურის მაგალითს მისდიეს სხვებმაც — გაკაფეს ტყე და ააშენეს საცხოვრებელი ნაგებობანი. აი ამგვარად მიეცა დასაბამი მწყემსი ბუკურის ქალაქს — ბუკურეშტს (ბუქარესტს).

თურქი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლებში ბუქარესტი რამდენჯერმე დანგრეულა, მაგრამ ყოველთვის წამომდგარა, მხრები გაუშლია და უკვე XVII საუკუნის შუა წლებში ვლახეთის დედაქალაქი, უფრო გვიან კი გაერთიანებული რუმინეთის პოლიტიკური ცენტრი გამხდარა. იწყება ქალაქის არქიტექტურული ანსამბლების ინტენსიურად შექმნა. უცხო ქვეყნებიდან მოწვეული ხუროთმოძღვრები შენობებს აგებენ მავრიტანული, როკოკოს, ხმელთაშუა ზღვისა და სხვა მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული სტილით. ქალაქი გამდიდრდა სხვადასხვა სამინისტროთა სასახლეების, პარლამენტის (დღევანდელი ეროვნული კრების შენობა), რუმინეთის ათენეუმის, უნივერსიტეტის, ცენტრალური ბიბლიოთეკის და სხვა დიდებული ნაგებობებით.

მეორე მსოფლიო ომმა ლამაზ და ამაყ ქალაქს ღრმა ჭრილობები მიაყენა. განსაკუთრებით მძიმე იყო 1944 წელი — სვასტიკიანი ბომბდამშენები დასტრიალებდნენ ქალაქს, ინგრეოდა ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი — უძველესი ეკლესიები, მუზეუმები, მთავრობის სასახლე, საზოგადოებრივი შენობები. ნაცარტუტად იქცა საცხოვრებელი ბინების მთელი რაიონები, ეროვნული თეატრი, ოპერის თეატრი და სხვა მრავალი შენობა, რომლებიც ამ ქალაქის სიამაყეს წარმოადგენდა.

აი ასე დანგრეული შეხვდა ქალაქი ბუქარესტი 1944 წლის 23 აგვისტოს — ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების დღეს. აქედან დაიწყო ბუქარესტის ისტორიის ახალი ფურცელი და მისი განვითარების ახალი ერა. ქალაქმა არაჩვეულებრივი ტემპებით იწყო დანაკარგის აღდგენა.

თანამედროვე ბუქარესტი მსხვილ სამრეწველო ცენტრად იქცა. იგი იძლევა რუმინეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 21 პროცენტს. 1948-59 წლებში ბუქარესტში აშენდა 57 სხვადასხვა საწარმო, მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიც არის ტუდორ ვლადიმირესკუს სახელობის ავტობუსების, ტროლეიბუსების, ავტოცისტერნების ქარხანა; სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანა „სემენეტოარია", კლემენტ გოტვალდის სახელობის ელექტრომოტორების ქარხანა; გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.

ბუქარესტმა სახე იცვალა გარეგნულად, მაგრამ მისი ისტორიის ახალი ფურცელი მარტო ამით როდი ამოიწურება. ბუქარესტმა სახე იცვალა შინაარსითაც. მისი სასახლეების, თეატრების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ბიბლიოთეკების კარები ფართოდ გაიღო მშრომელი ადამიანების წინაშე. ბუქარესტი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო ცენტრია, რომელიც მთლიანად ხალხის სამსახურშია.

ძველ ბუქარესტში 125 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ბავშვების 25 პროცენტი სკოლების გარეთ იყო დარჩენილი. სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების წლებში რუმინეთში სრულიად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა. დღეს მხოლოდ ბუქარესტში 300 სკოლამდელი დაწესებულება და 58 საშუალო სკოლაა. ქალაქის მუშათა რაიონებში ამჟამად შენდება 18 ახალი სკოლა.

რუმინელი ხალხის უფართოეს ფენებში კულტურის გამავრცელებელი ნამდვილი ცენტრია უკანასკნელ წლებში ბუქარესტში აშენებული უდიდესი და ულტრათანამედროვე პოლიგრაფიული კომბინატი „სკინტეიას" სახლი.

ქ. ბუქარესტი. ხერესტრეუს ტბა. უკანა პლანზე მოჩანს პოლიგრაფიული კომბინატის „სკინტეიას" სახლი.

უამრავი ისტორიული, არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლი, 19 მუზეუმი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია 24 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტით, კ. პარხონის სახელობის ცნობილი უნივერსიტეტი 8 ფაკულტეტით, 13 უმაღლესი სასწავლებელი, 5 უდიდესი ბიბლიოთეკა, 24 თეატრი, 14 მთავარი კინოთეატრი — აი არასრული ნუსხა იმ საუნჯისა, რომელსაც ქალაქი ბუქარესტი ფლობს და რომლითაც სამართლიანად ამაყობს მთელი რუმინელი ხალხი.

ხანდაზმულობის მიუხედავად, ბუქარესტი მარადჟამს ახალგაზრდა ქალაქია. ბუქარესტელები საყვარელი დედაქალაქის იუბილეს ახალი, სოციალისტური ცხოვრების დაუშრეტელი ენერგიითა და სიხარულით შენების მტკიცე გადაწყვეტილებით ხვდებიან.

ლეილა თეთრაძე.

ყოველი მხრიდან

„მემარჯვენე ელემენტების" შესახებ ჩინეთში

პეკინი, 18 სექტემბერი. (საქდესი). ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოეხსნათ სახელწოდება „მემარჯვენე ელემენტი" იმ მემარჯვენე უკლონისტებს, რომლებიც გამოსწორდნენ და კარგი სახელი დაიმსახურეს. საქმე ეხება ანტისოციალისტური გამოხდომების მონაწილეებს, რაც მოხდა ჩინეთში 1957 წელს.

მემარჯვენე ელემენტების უმრავლესობამ, ნათქვამია განცხადებაში, მოინანია დანაშაული. ნაწილმა ამჟამად აღიარა შეცდომები, ცხადყო, რომ ისინი ნამდვილად გამოსწორდნენ, კარგად გამოიჩინეს თავი.

ნერუ ავღანეთიდან ირანს გაემგზავრა

ქაბული, 18 სექტემბერი. (საქდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები დღეს ქაბულიდან თეირანს გაემგზავრნენ.

გამგზავრების წინ ჯ. ნერუმ განაცხადა, რომ „სამხედრო კავშირები ხელს არ უწყობენ მშვიდობის საქმეს".

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ და ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. დაუდმა დაადასტურეს, რომ მათი ქვეყნები წინანდებურად ახორციელებენ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას.

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

19 სექტემბერს ქალაქ ბლედში გაიმართა პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრება.

ფიშერ-სმისლოვის პარტია 52-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. პეტროსიანმა წააგო ორივე გადადებული პარტია გლიგორიჩთან და ბენკოსთან. გლიგორიჩმა დაამარცხა ბენკო.

ამრიგად, რვა ტურის შემდეგ, კერესსა და ტალს აქვთ 5½ ქულა თითოეულს, პეტროსიანსა და გლიგორიჩს 4½ ქულა თითოეულს, სმისლოვს, ფიშერს, ოლაფსონსა და ბენკოს — სამ-სამი ქულა თითოეულს.

საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვება

პარიზში დამთავრდა სამი კონტინენტის უძლიერეს ვაჟთა ფრენბურთელთა გუნდების ასპარეზობა.

შეჯიბრება დაუმარცხებლად დაამთავრეს და პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ფრენბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავეს ბულგარეთის სპორტსმენებმა.

მსოფლიო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში

თეირანში 1-დან 4 ოქტომბრამდე გაიმართება პირად-გუნდური მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. უკვე დაკომპლექტდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან ა. ალიევი (რსფსრ), ვლ. არსენიანი (საქართველო), ნ. მუშეღიანი (სომხეთი), ვლ. სინიავსკი (უკრაინა), ვ. ბალავაძე (საქართველო), გ. სხირტლაძე (საქართველო), ბ. კულაევი (რსფსრ), ს. ძარასოვი (რსფსრ). ჩვენი რესპუბლიკიდან სათადარიგო შემადგენლობაში არიან აგრეთვე მ. ცალქალამანიძე და ა. გვიმრაძე.

თბილისელი ფეხბურთელები ჩეხოსლოვაკიაში

კვირას ნაშუადღევს მოსკოვიდან პრაღაში გაფრინდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი. ქართველი ფეხბურთელები ჩეხოსლოვაკიაში გამართავენ სამ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს.

„კომუნისტის" დღევანდელ ნომერს თან ერთვის დამატება — ლატარიის მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 04158 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.